

ა. ლუნაჩარსკი

ყოველ-ცემოვნება

თარგმ. ნ. ალიშის

(6. უბალი)




1927
1927

040460

1927





၃. ဣျေပေါ်နှင့်

የኢትዮ-Եኩወንደኛ

თარგმ. ნ. ალექსის

29567



ଓ ୩ ୦ ୧୩ ୦ ୬ ୦

1927



სტამბა
„ზარია ვოსტოკა“.-სი,
წულუკიძის ქუჩა, № 4.
შეკვ. № 1267 | მთავლ. № 1544
ტირაჟი 2000.

ჩვენ დავუახლოვდით ყოფა-ცხოვრების სა- კითხებს

ჩემი მოხსენების ოემად შემთხვევით არ ავარჩიე ყოფა-ცხოვრების საკითხი *). ეს ოემა იმიტომ ავიღე, რომ მოსკოვში და რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მრავალ სხვა ქალაქში სულ სხვადასხვა ჯურის ხალხი მრავალჯერ მთხოვდა გამეკეთებია მოხსენება განსაკუთრებით ამ ოემაზე ჩემი აზრით, ამ ოემისადმი დიდი ინტერესი ბუნებრივი და თან კანონშეზომილიცაა. შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ იმ დროსთვის, როცა ჩვენ შევუდგებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრათ თუ ცოტათ მოწყობას, ყოფა-ცხოვრების საკითხები პირველ რიგში დაისმებიან. გაივლის ერთი ორი წელიწადი და ეს საკითხები ჩვენ აღმშენებლობაში უპირველეს ადგილს დაიჭირენ, რადგან რევოლიუციის ნამდვილი მიზანი სწორედ ამ ყოფა-ცხოვრების სრული გარდაქმნაა.

*) ეს ბროშურა წარმოადგენს ამხ. ლუნაჩარსკის მიერ ლენინგრადში 1926 წლის 18 ნოემბერს წაკითხული მოხსენების გადამუშავებულ სტენოგრამას.

რევოლიუცია მთლიანი რთული მოვლენაა, რო-
მელიც რამდენსამე მეტად მნიშვნელოვან ცალკე მო-
მენტს შეიცავს

პოლიტიკური რევოლიუცია ყველაზე უფრო გვე-
ცება თვალში. მასთან დაკავშირებულია სამხედრო
ბრძოლა, რომელიც ბოლოვდება ისეთი არაჩვეულე-
ბრივი ეფექტიური მოვლენით, როგორიცაა ძალა-
უფლების გადასვლა ერთი კლასის ხელიდან მეორე
კლასის ხელში. მაგრამ პოლიტიკური რევოლიუცია
მხოლოთ წინამორბედია ჭაშმარიტი რევოლიუციის,
რომლისათვისაც ბრძოლა სწარმოებს. პოლიტიკური
რევოლიუცია — ხელისუფლების დაპყრობა — ჩვენ საბო-
ლოო მიზანს არ შეაღგენს. ჩვენ, კომუნისტებს, ამა-
თუ იმ სახელმწიფოებრივი ფორმის დამყარება არ
მიგვაჩნია საზოგადოთ სოციალური რევოლიუციის
მიზნად, რადგან ჩვენი რევოლიუციის საბოლოო მი-
ზანი არის სახელმწიფოს სრული დანგრევა, მოსპო-
ბა ადამიანის ყოველგვარი ბატონობისა ადამიანზე.

ჩვენ კომუნისტური წყობილება წარმოდგენილი
გვაქვს, როგორც არა სახელმწიფოებრივი წყობილე-
ბა. აქედან უკვი ცხადია, რომ პოლიტიკური მიზნე-
ბი ვერ ჩაითვლებიან ჩვენ საბოლოო მიზნებად.
ახალი კლასი-დიქტატორი, პროლეტარიატი, გლე-
ხობაზე დაყრდნობილი, ხელისუფლებას თვით ხელია
სუფლებისათვის რომი იპყრობს. პირიქით, იგი
ხელისუფლებას იპყრობს იმისთვის, რომ რაც შე-

იძლება ჩქარა გაუშვას ის ხელიდან, იმისთვის,
რომ, როგორც ენგელსი ამბობდა, გამოიყენოს ის
ინსტრუმენტად, წარმოების იარაღად და რაც შე-
იძლება ჩქარა „გაისტუმროს მთელი სახელმწიფოე-
ბრივი მანქანა იქ, საღაც მაშინ მისი ადგილი იქნე-
ბა — საჩეჩელას და ბრინჯაოს ნაჯახის გვერდით“.

მუშათა კლასი ხელისუფლებას იპყრობს იმი-
სთვის, რომ მისი შემწეობით სოციალური რევო-
ლუციია მოახდინოს.

კომუნიზმი მიზნად ისახავს — შესცვალოს ქვეყნის
სიმდიდრისა და დოკუმენტის, წარმოებისა და განაწი-
ლების წესები. მას სურს გაბატონებულ, ექსპლოატა-
ტორ კლასებს გამოგლიჯოს ხელიდან ლკვე ეხლავე
გიგანტური საწარმოო იარაღი, რომელიც თანდათან
იზრდება და მატულობს, მოაგვაროს მეურნეობა, ე. ი.
მოაწყოს იგი მეცნიერულ საფუძვლებზე, მოაგვაროს
კანონშეზომილი მოწესრიგებული წარმოება და მი-
სი სამართლიანი განაწილება ადამიანთა საზოგა-
დოების წევრებს შორის.

მაგრამ ეს მიზანიც, ეს უდიდესი სამეურნეო
ამოცანაც, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოგვიგვარე-
ბია, მაშინ, როცა პოლიტიკური ამოცანები უკვე
შევასრულეთ, უეს მიზანიც არ წარმოადგენს საბო-
ლოო შიზანს, რადგან ადამიანის ცხოვრობს არა იმი-
სთვის, რომ მეურნეობას ეწეოდეს, არსებობს არა
იმისთვის, რომ იმუშაოს, არამედ; პირიქით, მეურ-

ნეობას ეწევა, მუშაობს. იმისთვის, რომ იარსებოს.

როცა კარლ მარქსი არკვევდა თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების სიმაღლის კრიტერიუმს, ე. ი. საზომს, მან სთქვა, რომ „ასეთ საზომს წარმოადგენს ის, თუ რამდენათ უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივი წყობილება აღამიანში არსებულ ყოველგვარი შესაძლებლობის მაქსიმალურ განვითარებას“-ო. მაშასადამე, თვით მეურნეობას, ე. ი. იმას, თუ როგორ ჰქმნის კაცობრიობა მისი არსებობისათვის საჭირო მატერიალურ დოკუმენტს და როგორ ანაწილებს მას, იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ის შესაძლებელს ხდის მოეწყოს ბეღნიერი, მოწისრიგებული ძმური ცხოვრება აღამიანებისა, რამდენადაც ის საშუალებას აძლევს აღამიანში მთვლემარე ნიჭი გაიშალოს შემომქმედ, გამარჯვებულ, ბრწყინვალე ცხოვრებად. აი სწორეთ ეს ცხოვრება, ცხოვრება, როგორც თვითმიზანი, გახლავთ ყოფა-ცხოვრება.

მაშასადამე, პოლიტიკა იარაღია სამეურნეო გადატრიალების მოსახლენად, ხოლო მეურნეობა ბაზაა ყოფა-ცხოვრების გადატრიალებისთვის, აღამიანის ყოველდღიური არსებობის შესაცვლელად.

პოლიტიკური ამოცანები ჩვენ თვალსაჩინოთ განვახორციელეთ. ჩვენ უკვე დავამტკიციცეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ბატონ-პატრონი ვართ, ჩვენ უკვე აღარავის ვაძლევთ ნებას გვედავოს იმაზე, რომ საბჭოთა ს. რ. კავშირის ფარგლებში მუშები და გლეხები ბატონ პატ-

რონნი არიან. მაგრამ, მოვიჰოვეთ რა ბატონ-პატ-
რონობის ეს უფლება, ჩვენ უნდა მას ხორცი შევას-
ხათ, ე. ი. უნდა ვისწავლოთ მეურნეობის მოწყობა
და ეს გეგმაშეწონილი მეურნეობა რეალურათ გან-
ვახორციელოთ.

ლენინიც გვასწავლიდა: პოლიტიკური რევოლი-
უცია, თუ იგი კარგათ არის შემზადებული ისტო-
რიის მიერ, შეიძლება მოხდეს რამდენსამე დღეში,
— ეს სამხედრო საქმეა, ერთი ძალის გამარჯვებისა
მეორეზე; სამეურნეო რევოლიუცია კი — ყოველგვა-
რი ქონებრივი ურთიერთობის გარდაქმნა, წარმოე-
ბის ახალი წესი, დოვლათის განაწილების ახალი
წესი — მრავალ და მრავალ წელს მოითხოვს.
ვ. ი. ლენინი ამბობდა: თუ შევსძელით 10—20 წლით
გლეხობასთან კავშირის შენარჩუნება და, გლეხობა-
ზე დაყრდნობით, განვაგრძობთ აღმშენებლობითი
გზით სიარულს, უეჭველათ უზრუნველვყოფთ სო-
ციალიზმის განხორციელებასო.

10—20 წელიწადი! 10 წელიწადი უკვე გავიდა.
საჭიროა ასეთივე ბრძოლის გადატანა კიდევ 5—10
წლის განმავლობაში.

მაგრამ, თუ სამეურნეო ამოცანები სავსებით ვერ
შევასრულეთ, ის მაინც აშკარაა, რომ უქმათ არ
ჩავიტარებია გასული წლები, რომ ჩვენს წინ გა-
დაშლილია მომავლის დიდი პერსპექტივები. ეს კი
უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ყოფა-ცხოვრების

რევოლუციაზედაც. ჩვენ იმდენი რამ გავაკეთეთ, რომ უკვე შეგვიძლია დაწვრილებით გამოვიკვლიოთ ყოფა-ცხოვრება და შეგნებულათ ჩავერიოთ ამ ყოფა-ცხოვრებაში იმისათვის, რომ თანდათან სოციალისტური ხასიათი მივცეთ მუშების ყოფა-ცხოვრებას, გლეხების ყოფა-ცხოვრებას და, საზოგადოთ, ფართო მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას.

რა არის ყოფა-ცხოვრება?

როგორ გვესმის სიტყვა ყოფა ცხოვრება? თუ ჩვენი არსებობის სფეროებიდან გამოვყოფთ სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ცხოვრებას,—ყველა დანარჩენი ყოფა-ცხოვრება იქნება.

სარგებლობა საარჩევნო უფლებით, მუშაობა საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოს არჩეული აგენტის სახით,—ყოველივე ეს მიეკუთვნება სახელმწიფო ცხოვრებას. ამასაც, რა თქმა უნდა, კავშირი აქვს ყოფა-ცხოვრებასთან, მაგრამ არა პირდაპირი.

რამდენადაც მუშა მუშაობს დაზგაზე, გლეხი გუთანზე, რამდენადაც ესა თუ ის ინტელიგენტი ასწავლის, ექიმობს ან ზის რომელსამე კანცელარიაში და სხვ.,—იმდენად ეს მიეკუთვნება მათ სამეურნეო შუშაობას, პროფესიონალური, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას.

რამდენადაც მუშა, გლეხი და სხვა იმყოფება თავის ბინაზე, რამდენადაც ის არის მამა, ქმარი, ოჯა-

ხური წყობის წევრი, რამდენადაც ის სარგებლობს და ხარჯავს თავისი არსებობისათვის მიღებულ ხელფასს, რამდენადაც ის აწესრიგებს თავის დასვენებას, თვითაღზრდას, თავის წინსვლას,—იმდენად ყოველივე ეს მიეკუთვნება უკვე მის ყოფა-ცხოვრებას. ის, რასაც ამდენ ხანს კერძო ცხოვრება ეწოდებოდა, ამიერიდან არ შეიძლება ხელიდან გაგვისხლტეს. სწორედ ნათელ და გონიერ ხაზზე გადაყვანა იმისა, რასაც კერძო ცხოვრება ეწოდებოდა,—აი რა არის რევოლიუციის უკანასკნელი მიზანი, მისი ძირითადი, ყველაზე უდიდესი მიღწევა. მაგრამ სწორედ აქ არის აღმართული ჩვენს წინაშე ყველაზე უდიდესი სიძნელე.

ყოფა-ცხოვრების ეს პარობები სტიქიურიაო,— გვეუბნებიან ზოგჯერ. „თუ შეიძლება სახელმწიფო-ებრივი წესრიგის შეცვლა,— გვიპასუხებენ ისინი,— თუ შეიძლება მეურნეობაზე ზეგავლენის მოხდენა მბრძანებელ სიმაღლეებიდან,— ასეთივე ზეგავლენა ყოფა-ცხოვრებაზე მეტათ ძნელიაო“, და უმატებენ: „სახელმწიფოებრივი წესრიგი შეიძლება შეიცვალოს დეკრეტებით, სამეურნეო წესები — შრომისა და განაწილების ორგანიზაციით, ხოლო ყოფა-ცხოვრების წესებს ღრმათა აქვთ გადგმული ფესვები ინსტიჭტისა და ცრუ-მორწმუნეობის ისტორიაში, ისე ღრმათ, რომ თითქმის შეუძლებელია მათზე გავლენის მოხდენა“.-ო. მაგრამ ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: სწორედ ჩვენი რევოლიუცია, რომელიც წარმოადგენს სტი-

ქიაში შეგნებული ჩარევის მაქსიმუმს, რომელიც, როგორც მთელი მარქსიზმი, არის ლრმა ანალიზზე და სინამდვილის გაგებაზე დაყრდნობილი უალრესათ ყურმახვილი და ორგანიზაციულად მოგვარებული საქმიანობა,— სწორედ ეს რევოლიუცია არ გვაძლევს უფლებას თვალი ავარიდოთ რომელიმე მოვლენას, როგორც რაიმე სტიქიურს, თავის თავათ წარმოშობილს, არამედ გვაიძულებს ამ სფეროშიაც ჩავერიოთ მაქსიმუალური შეგნებით. ამიტომ ამ მიმღინარე წლებში— მე-9, მე-10 წლებში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ,— ჩვენს წინაშე დგება ამოცანა: შევიგნოთ ის უდიდესი პროცესები, რომლებიც ჩვენ ყოფა-ცხოვრებაში ხდება, და შევეცადოთ მოვახდინოთ მათზე გავლენა შეგნებულათ და მიზანშეწონილათ.

შეკითხვები, რომლებითაც ყოველი მხრიდან მოგვმართავენ ჩვენ— მე და კულტურის სფეროში მომუშავე სხვა ამხანაგებს, თხოვნა, გამოვსთქვათ ამ საკითხის შესახებ ჩვენი აზრი, ის უდიდესი ყურადღება, რომელიც მიქცეულია ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი, და ის უამრავი ხალხი, რომელიც ისმენს ამ მოხსენებებს, ამტკიცებენ, რომ ჩვენ ახლოს მივეღით ამ საკითხთან.

ო ჯ ა ხ ი

ჩამოთვლილ საკითხებიდან ყველაზე უძირითადესი, კაპიტალური და გადაუდებელი საკითხი, ყოველ

ეჭვს გარეშე, არის საკითხი ოჯახის შესახებ. ყველა
იმ საკითხიდან, რომელიც არ შედის სახელმწიფოე-
ბრივ ცხოვრებაში, არ შედის საზოგადოებრივ ეკო-
ნომიურ ცხოვრებაში, რომელიც შეადგენს კერძო
ყოფა ცხოვრების ნაწილს, ოჯახის საკითხი უფრო
შეტაღ მნიშვნელოვანი საკითხია. რატომ? იმიტომ,
რომ იმ დროს, როცა ის არ ეხება პოლიტიკურ
ცხოვრებას, არ ეხება სახელმწიფოებრივ ცხოვრებას,
არც საზოგადოებრივ ეკონომიურ ცხოვრებას, არც
მეურნეობას, ამ დროს მისი არა სწორად და არა
არა მართებულათ გადაჭრა აბათილებს ყველა პოლი-
ტიკურ და ეკონომიურ მონაპოვარს, ვინაიდან ოჯა-
ხის საკითხი იმავე დროს არის აღამიანთა მოდგმის
გაგრძელების საკითხი, მომავალი თაობის სა-
კითხი.

წარმოიდგინეთ, რომ რევოლიუციამ მოქალაქეთა
შეგნება უმაღლეს დონემდე ასწია, რომ მან დამა-
კმაყოფილებლად გადასჭრა მთელი რიგი საკითხე-
ბისა, მაგრამ იმავე დროს დააწყლულა ცხოვრების
განახლების, ახალი თაობის წარმოშობის საქმე, რომ
მან ზიანი მიაყენა ბავშთა შობვის საქმეს; წარმოი-
დგინეთ, რომ დაბადებულთა რიცხვი შემცირდა, რომ
ბავშვები სუსტები იბადებიან, რომ მათ არა აქვთ
ნორმალური კვება პირველ დღეებიდანვე, რომ ისი-
ნი მახინჯდებიან და უპატრონოთ რჩებიან. განა
ასეთი რევოლიუცია წყევა-კრულვით არ უნდა მო-

ვიხსენიოთ? განა მაშინ არ უნდა ვთქვათ, რომ ეს რევოლიუცია მთლათ შეცდომააო? ჩვენი რევოლიუცია ხომ იმდენად ჩვენთვის არ მოხდა, რამდენადაც ჩვენი ბავშვებისათვის. მერე უზრუნველყოფილია მათი წარმოშობა, მათი ნორმალურათ აღზრდა?

როგორ უპასუხა რევოლიუციამ ჩვენი ხალხის სიცოცხლის გაგრძელების ამ ცენტრალურ საკითხს?

ჩვენ ვიცით, როგორ უპასუხა ამ საკითხს ბურუჟაზიამ. მან შექმნა წყვილისაგან შემდგარი ბურუჟაზიული ოჯახი — მამა, დედა, შვილები, — ოჯახი; რომელიც დღეს რლვევის პროცესშია. ბურუჟაზიული საზოგადოება შემდგომი რევოლიუციის დროს მივიღა მოზრდილი ადაპტიანების ეკონისტური გრძნობის ისეთ განვითარებამდე, ბავშვის ყოლისაგან თავის დაღწევის ისეთ მისწრაფებამდე, რომ მან მართლაც დააზიანა-დააწყლულა აღამიანთა მოდგმის გაგრძელების საქმე. ყველაზე მოწინავე და ტიპიური, ამ მხრივ ბურუჟაზიული ქვეყანა — საურანგეთი განსაკუთრებით ეხლა, ომის შემდეგ, დემოგრაფიულ გამოფიტვას განიცდის. საფრანგეთის მოსახლეობა უკვე კატასტროფიულათ კლებულობს, და დღეს მისი შევსება ხდება ზანგების, სლავების და სხვა უცხოელთა იმიგრაციის ხარჯზე.

როგორ ვსწყვეტთ ჩვენ ამ საკითხს? უზრუნველყოფილნი ვართ თუ არა, რომ მომავალი თაობები მოგვყვებიან ჩვენ, რომ ისინი ჯანმრთელნი, ფხი-

ზელნი იქნებიან და მიიღებენ ჩვენი ხელიდან დროშას, რომ ისინი განაგრძობენ იმ აღმშენებლობას, რომლისათვისაც ჩვენ ამდენი მსხვერპლი გავიღეთ? აღწერები, რომლებიც დღემდე ჩვენში მოხდა, გვაფიქრებინებენ, რომ ის სრულიად საკავშირო აღწერაც, რომელიც ჩვენ ეხლახან ჩავატარეთ, მასალების გადამუშავების შემდეგ დამამშვიდებელ შედეგებს მოგვცემს. თქვენ იცით, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებს შედეგად მოჰყვა დაბადებულთა რიცხვის დაკლება, ბავშვთა სიკვდილიანობის გაძლიერება, და რომ მდგომარე წელს ჩვენ გვაქვს სკოლაში მისალებ 8 წლის ასაკის ბავშთა დანაკლისი, რომელიც თითქმის 50%-ს უდრის. მაგრამ ეხლაეს დანაკლისი ივსება, დაბადებულთა რიცხვი მატულობს, სიკვდილიანობა კლებულობს და ჩვენ ამ მხრივ უკვე მივაღწიეთ იმ დონეს, რომელიც უსწორდება ანუ თითქმის უდრის 1913 წელს არსებულ მდგომარეობას.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დაბადებულთა ეს მატება ხდება გლეხობის მეოხებით, გლეხობის ხარჯზე. გლეხობა ჯერ კიდევ არ არის განმსჭვალული ფსევდო-რევოლუციონური იდეებით იმ ზომადე, რომ მათ გავლენა მოახდინონ. მის ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაზე. ის ქორწინდება და მრავლდება ისევე, როგორც წინათ.

ალბათ ჩვენ გლეხთა შორის დღესაც აქვს ადგილი ბავშვთა დიდ სიკვდილიანობას, რასაც გვიჩვე-

ნებს სოფლის მოსახლეობის სტატისტიკა; მაგრამ ადგილი აქვს აგრეთვე დაბადებულთა რიცხვის, უდიდეს ზრდას, რომელიც ავსებს ბავშთა დიდი სიკვდილიანობით გამოწვეულ დანაკლისს და თან საგრძნობ მატებასაც იძლევა.

თავისუფალი ციფრარული და პომუნიზმი

მაგრამ, თუ შევეკითხებით ჩვენს თავს: როგორი იდეები მიღის სოფელში ჩვენგან? რით ვწამლავთ ჩვენ—მუშები და მშრომელი ინტელიგენცია-სოჯელს? როგორ იმოქმედებენ სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე ჩვენი იდეები, როცა ისინი მიაღწევენ სოფელს?— უნდა ვალიაროთ, რომ საკმაო საბაბი მოგვეპოება განგაშის ასატეხად.

თუ ცალკე განვიხილავთ ჩვენი პროლეტარიატისა და მშრომელი ინტელიგენციის დემოგრაფიულ ხაზს—ამას-კი უთუოდ შევძლებთ ჩვენი საკავშირო აღწერით,— მე ვშიშობ, რომ მოგვიხდება დაბადებულთა რიცხვის დაცემის დადასტურება. მოგვიხდება დადასტურება მშობლების ავადმყოფური სწრაფვისა ბავშვთა არ ყოლისადმი. ამას ჩვენ უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლიუციის შემდეგ ძველი წყობის უცილობელმა რღვევამ დაბადა ჩვენში ახალი შეხედულება ოჯახზე. ამ შეხედულებას ხშირათ მართებულათ, მარქსისტულათ სოვლიან, მაგ-

რამ ჩვენ იგი მავნებლათ უნდა აღვიაროთ, და პარ-
ტიამ თავისი პროტესტი უნდა გამოსთქვას მის წი-
ნააღმდეგ: ეს თვალსაზრისი, რომელიც უყოფანოთ
უარყოფს ხანგრძლივათ შეკავშირებულ წყვილისაგან.
შემდგარ ოჯახს, ამბობს შემდეგს: ქმარი და ცოლი,
რომელნიც აჩენენ და ზრდიან შვილებს, ბურუუ-
ზიული ამბავია. თავისი თავის პატივისმცემელმა
კომუნისტმა, საბჭოთა წყობილების წევრმა, მოწინა-
ვე ინტელიგენტმა, ჭეშმარიტმა პროლეტარმა თავი
უნდა შეიკავოს ასეთი ბურუუზიული ნაშთისაგანო.
„სოციალიზმს, — ამბობენ ასეთი „მარქსისტები“,
— თან მოაქვს მამაკაც-დედაკაცთა შეკავშირების
ახალი ფორმა, სახელმობრ თავისუფალი სიყვარუ-
ლი. უახლოვდებიან ერთმანეთს მამაკაცი და დედა-
კაცი, სცხოვრობენ, სანამ ერთმანეთი მოსწონთ და
შორდებიან ერთმანეთს, როცა აღარ მოსწონთ.
ერთდებიან შეღარებით. მოკლე ვადით, არ ქმნიან
მტკიცე მეურნეობრივ ფუძეს, მამაკაციც და დედა-
კაციც თავისუფალია ამ მხრივ. ეს გადასვლაა იმ
ფართო საზოგადოებრივობისკენ, რომელიც ცვლის
პატარა ობივატელურ კუთხეს, ობივატელურ კუნ-
ჭულს, ოჯახურ კერას, დაობებულ ოჯახურ ერთე-
ულს, რომელიც საზოგადოებას ეყოფა, ეცალკევი-
ბა“. „ნამდვილი კომუნისტი, საბჭოთა მოქალაქე,—
ამბობენ ისინი,—უნდა უფრთხოდეს წყვილათ შეულ-
ლებას და თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას

უნდა ცდილობდეს „chandez vos dames“ გზით, როგორც ძველ კატრილში აწბობენ, უნდა არსებობდეს ქმრების, ცოლების, მამების, შვილების ურთიერთობის თავისუფლება ისე, რომ ვერც კი გაარჩიონ ვის და როგორ მოხვდება. ეს არის საზოგადოებრივი მშენებლობა“.

გავერკვიოთ, მივიღეთ მასთან ახლოს.

რას ვიტოვებთ ბურუუაზიულ შეულლებიდან და რას ვთვლით სპეციფიურ ბურუუაზიულად ამ წყვილთა შეულლებაში?

წყვილისაგან შემდგარ ბურუუაზიულ შეულლებაში ბურუუაზიული, უარყოფითი და ჩვენთვის აბსოლუტურათ მიუღებელი არას ის უთანასწორობა, რომელიც არსებობს მამაკაცსა და დედაკაცს შორის, აი ბურზუაზიული ოჯახის საფუძველი, რომელსაც ჩვენ გადაჭრით უარვყოთ. ბურუუაზიას აქვს თავისი კანონმდებლობა, თავისი პოლიტიკური წყობილება და სხვ., და ოჯახი ბურუუაზიულ საზოგადოებაში, იქნება იგი ბანკირის, პროფესორის, წვრილი მოხელის თუ პროლეტარის, ემყარება ბურუუაზიულ კანონმდებლობას, ბურუუაზიული კანონმდებლობა კი ევროპის ქვეყნებში ძველი მეფური რუსეთის კანონმდებლობაზე უარესია. აი რას ამბობდა მეფის კანონმდებლობა იმაზე, რასაც მე ოჯახის პოლიტიკურ მხარეს ვუწოდებ: ცოლი ვალდებულია დაემორჩილოს ქმარს, როგორც ოჯახის მეთაურს, იყოს მი-

სი განუსაზღვრელი გამგონე, ყოველგვარათ აამოს
მას; მოვალეა უაღრესათ მორჩილი იყოს ქმრის ნე-
ბისყოფის; ქმრის საღმე გადასვლის დროს ცოლი
მოვალეა გაჰყვეს მას; ცოლს არ შეუძლია ხელი მო-
ჰკიდოს რაიმე სამუშაოს ქმრის სპეციალურ ნება
დაურთველათ.

როგორც ხედავთ, აქ წმინდა მონობაა. თუ უფ-
რო კარგათ ჩავუკვირდებით იმას, თუ როგორ შეეძლო
მოპყრობოდა ქმარი ცოლს მეფის კანონმდებლობის
მიხედვით, დავინახავთ, რომ ქმარს, რომელიც ცოლს
თავის საკუთრებად სთვლიდა, შეეძლო ყოველგვარი
ძალადობა ეხმარა მის წინააღმდეგ, როცა დამნაშა-
ვედ ჩასთვლიდა: ეცემა, დაემშია, დაემწყვდია და
სხვა. ცოლს არავითარი უფლება არ ჰქონდა საჩი-
ვარი აღეძრა ამის შესახებ. თუ ქმარი მოსტეხდა
ცოლს ხელს ან თავს გაუტეხდა, ცოლს უფლება
ჰქონდა ეჩივლა,—ეს უკვე პროკურორის ეხებოდა.
სანამ ასეთი რამ არ მოხდებოდა, ცოლი ვერაფერს
გააწყობდა. თუ გაძოძიება დაადასტურებდა, რომ
ცემას ქმრის მხრივ წამების ხასიაჲი ჰქონდა, სასა-
მართლოს უფლება ჰქონდა ჩარეჭლიყო საქმეში. მა-
გრამ თუ აღგილი ჰქონდა არა წამებას, არამედ მა-
თრახის შემწეობით „ჭკუის სწავლებას“, ეს სრუ-
ლიათ ჩვეულებრივ და დასაშვებ საქმედ ითვლებო-
და. თუ ცოლს სურდა ქმრისაგან წასვლა, სხვაგან
დაბინავება, მას არ შეეძლო ასეთი რამ ჩაედიხა—

ქმარი უბრძანებდა და ცოლს უჯლება. არ ჰქონდა აერჩია საცხოვრებელი იქ, სადაც მას მოესურვებოდა. თუ ცოლს სურდა ემუშავა, ესწავლა,—ქმარს შეეძლო ყოველივე ეს აეკრძალა. დასავლეთ ევროპის (მაგალითად, საფრანგეთის) ბურუუაზიული რესპუბლიკის) კანონმდებლობა კიდევ უფრო შორს მიდის, ის ყოველსავე ამას ერთ პარაგრაფს უმატებს: თუ ქმარი თავის გუნებაში დარწმუნებულია, რომ ცოლი ღალატობს, მას შეუძლია მოჰკლას იგი. მრავალი იურისტი კითხულობდა: კარგი, მაგრამ თუ ცოლია დარწმუნებული, რომ ქმარი ღალატობს, შეუძლია თუ არა მოჰკლას იგი? არა. ცოლს ამის თვის გზაუნიან კატორლაში და სხვ., ქმარს კი ამართლებენ: ის თავის ქონებრივ უფლებას იცავდათ. თუ ცოლი გაკადნიერდა და ქმრის ქონებრივი უფლების წინააღმდეგ წავიდა; ქმარს შეუძლია მოჰკლას—ეს მისი უფლებაა ოჯახში.

ოჯახის ამ პოლიტიკურ წესს, იმას, რომ ოჯახში არის მბრძანებელი, რომ ოჯახი არის არა შეთანხმება, არა შრომითი კავშირი,—ჩვენ ოჯახის ბურუუაზიულ თვისებად ვთვლით.

როგორ იყო მოწყობილი ბურუუაზიული ოჯახის სამეურნეო მხარე?

ქმარს ჰქონდა საზოგადოებრივი სამუშაო—პოლიტიკური მოლგაწეობა, სამსახური—თუ ფაბრიკაში მუშაობა, ცოლი—კი ოჯახში საქმიანობდა, ე. ი.

მომწყვდეული იყო ინტერესთა საშინლათ ვიწრო, გამოთაყვანებამდე ვიწრო რკალში: დატვირთული იყო ჭუჭყიანი თეთრეულით, საჭმლის მზადებით ჭვარტლიან სამზარეულოში, პატარა ბავშვების მოვლით და სხვ. დატვირთული იყო ყველა ამით ისე, რომ ფიქრიც კი არ შეეძლო თავის განვითარებაზე ან საზოგადო მოღვაწეობაზე. შესანიშნავია ის, რომ ასეთი „ტეტიური“ შეხედულება გაბატონებული იყო ყმების შრომაზე დაყრდნობილ თვით თავად-აზნაურობაშიაც, საღაც დედაკაცს, მოახლე-ქალების საკმაო რიცხვის წყალობით, შეეძლო მამაკაცივით განთავისუფლებულიყო ოჯახური მზრუნველობის ვიწრო რკალიდან. თავად-აზნაურთა წრეშიაც ქალი გათხოვების შემდეგ მონად ხდებოდა. თვით ტოლსტოიც კი, რომელმაც მოგვცა საუკეთევო სურათი თავისუფალი ქალიშვილისა თავად-აზნაურთა წრიდან, ნატაშა როსტოვი,—ეს ლ. ტოლსტოიც კი ამბობს, რომ როცა ნატაშა გათხოვდა, ბავშვის არტახებმა და შესახვევებმა, ჭუჭყიანისა შესახვევებმა, ყველაფერი დაავიწყესო—მას მეტი ალარაფერი მოეთხოვებოდა.

ასეთი ოჯახის წინააღმდეგ, ოჯახის, საღაც მა-მაკაცს მიკუთვნებული აქვს კულტურული, პროგრესიული შრომა, ხოლო დედაკაცს — დაქუცმაცებული, უმომჭირნეო, გონების დამაჩლუნგებელი შრომა, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ, როგორც ბურუჟაზიულის წინააღმდეგ.

მაგრამ, ვაცხადებთ თუ არა ჩვენ პროტესტი
წყვილისაგან შემდგარი ოჯახის. წინააღმდეგ, როცა
ქმარი და ცოლი ამბობენ: ჩვენ გვიყვარს და პატივს
ვცემთ ერთმანეთს, ვდებთ ურთაერთთან ხანგრძლივ,
მრავალ წლიან კავშირს, სანამ მას არ დაარღვევს
განსაკუთრებული რამ, გვინდა ვიცხოვროთ ერთად,
გავიყოთ ჭირიც და ლხინიც, დავეხმაროთ ერთშა-
ნეთს, გავაჩინოთ და გავზარდოთ შვილები,—აი ეს
ბურუჟაზიულია თუ არა?

მე ვფიქრობ, რომ როგორც ეხლა, ისე სოცია-
ლისტურ წყობილებაშიაც შეიძლება იყოს ასეთი
ოჯახი, შეიძლება იყვნენ ასეთი წყვილები, შეკავ-
შირებულნი მრავალი წლით.

მაგრამ შეიძლება იყოს სხვა პარობებიც — ადა-
მიანებს შეუძლიათ დაუახლოვდენ და დაშორდენ
ერთმანეთს; ეს დამოკიდებულია შემთხვევაზე და
ტემპერამენტზე. ერთმა, ვთქვათ, ჰაოვა მეგობარი
მთელი სიცოცხლისთვის, მეორემ ვერ ჰპოვა; ერთს
ისეთი ტემპერამენტი და ხასიათი აქვს, რომ იგი
დიდ ბედნიერებას გრძნობს, როცა ხანგრძლივათ
და სერიოზულათ შეუკავშირდება ვისმეს, ხოლო
მეორე რჩეობს ბრწყინვალე, მაგრამ სწრაფ წარმა-
ვალ შეხვედრას, მეგობრების ხშირ ცვლას.

სოციალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია
ერთიც და მეორეც, ხოლო ჩვენი, გარდამავალი პე-
რიოდის, საზოგადოებაში კი — არა.

ჩვენს საზოგადოებაში ოჯახის ერთად-ერთი მარ-
თებული და მისალები ფორმა არის წყვილისაგნა
შემდგარი და ხანგრძლივათ შეკავშირებული ოჯახი.

ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ისეთი ოჯახი, რომე-
ლიც მოკლებულია ბურუუაზიულ თვისებებს — მამა-
კაცის მბრძანებლობას და დედაკაცის ოჯახური მე-
ურნეობის ულელქვეშ ყოფას, — ასეთ თვისებებს მოკ-
ლებული წყვილისაგან შემდგარი ოჯახი, ხანგრძლი-
ვი კავშირი ცხოვრების საერთო მშენებლობისთვის,
ბავშვების გაჩენისა და აღზრდისთვის, ერთად-ერთი
ფორმაა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. და მან, ვი-
საც სურს ბოლომდე შეასრულოს თავისი მოვალეო-
ბა — პოლიტიკური, მუშური და აღამიანური, — უნდა
შექმნას სწორედ ასეთი ოჯახი. რატომ?

სოციალისტური წყობილების დროს შეგვიძლია
ვთქვათ: საზოგადოებისთვის სულ ერთია, როგორ
გიყვართ ერთმანეთი — გიყვარდეთ როგორც გსურ-
დეთ, ბავშები-კი, რომელნიც თქვენ გშეყოლებათ,
უზრუნველყოფილნი იქნებიან თვით საზოგადოების
მიერ. აი რაშია სოციალისტური წყობილების თა-
ვისებურება, აი რა შეუძლია მან გითხოვთ თქვენ.
მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორ იქცევიან მა-
მები და დედები. დაიბატა ბავშვი — საზოგადოებას
მიჰყავს იგი. იმას, ვისაც მშობლიური გრძნობა არ
მოეპოვება, შეუძლია ბავშებზე სრულიად არ შეი-
წუხონ თავი.

დღეს-კი არ შეგვიძლია ამისი თქმა. დღეს ვერ ვიტყვით: მოქალაქენო, შეკავშირდით და გამრავლ-დით, ხოლო თქვენს ბავშებზე ჩვენ ვიზრუნებთო. ვერ ვიტყვით ამას. წელს ჩვენი სახელმწიფო, რუ-სეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკა, ობოლოთა შესანახად ხარჯავს 46 მილიონ მანეთს — მნიშვნელოვან ნა-წილს ჩვენი ბიუჯეტისას, და ეს მეტათ მძიმე ტვირ-თად აწვება სახალხო განათლების მთელ საჭმეს. ჩვენი საბაჟშვილ სახლები დღესაც ვერ ჩაითვლებიან და კმაყოფილებულად ეკონომიურის და პედაგოგიურის მხრით და ამავე დროს მრავალი ასი ათასი ბავშვი, იმდენივე, რამდენსაც ჩვენ თავშესაფარი მივეცით, ქუჩებში დარბის, უპატრონო, ნახევრათ გაპირუტ-ყვებული, მაგრამ არ შეგვიძლია, არა გვაქვს საშუა-ლება დავიჭიროთ ისინი, მოვაშინაუროთ და გადა-ვაქციოთ ნორმალურ სახელმწიფოებრივ ბავშვებად.

შეგვიძლია თუ არა ასეთ პირობებში ვთქვათ: მოშენდით და გამრავლდით, ბავშებზე-კი ჩვენ ვი-ზრუნებთო? — არა, არ შეგვიძლია.

რა მნიშვნელობა; რა მიზანი აქვს ისეთ რეგო-ლიუციას, რომელიც დაზიანებს ბავშვთა გაჩენის საჭ-მეს, შეამცირებს ბავშვთა დაბადებას, შეასუსტებს და შეანერებს აღამიანთა ნაკადს? რა იქნება, თუ ბავშვებს მოაკლდებათ კვება, თუ უფრო და უფრო გავრცელდა მუცლის მოშლა, თუ ბავშვთა უპატრო-ნობა სენად გადაიჭცევა? რისთვის და ვისთვის არის საჭირო ასეთი რევოლუცია?

ვინ უნდა იზრუნოს უმთავრესათ მახლობელი წლების განმავლობაში ბავშვთა აღზრდის საქმეზე, ვის დააწვება კისერზე მათი აღზრდის სიმძიმე? — მშობლებს.

საბჭოთა მთავრობა მოვალეა პირდაპირ უთხრას ყველას: მომავალი თაობის, ბავშვთა აღზრდის მოვალეობა ოთხმოცდა ცხრამეტი პროცენტით ეკისრება თვით მშობლებს. რა გაძომდინარეობს აქედან? გავიხსენოთ ის, რასაც ვ. ი. ლენინი „ჭიქა წყლის“ თეორიას უწოდებდა. ზოგიერთი მოწინავე ამხანაგები (მათ შორის კომუნისტებიც იყვნენ) ამბობდენ: ჩვენ ყველაფერი არა ბურუუაზიული უნდა გვქონდეს. ბურუუაზიას აქვს სიყვარული — არშიყობა, ყოველგვარი რომანტიკა, ოჯახის ათასი უმსგავსოება, ერთგულება ურთიერთისადმი, ბავშები. ჩვენ კი ახალ თვალსაზრისზე ვდგებით. ჩვენ უარვყოფთ სიყვარულის რომანტიულ ლირებულებას, ჩვენ უარვყოფთ ამ მძიმე ბორკილებს. სიყვარული უბრალო რამ არის, ფიზიოლოგიური საგანი, ბუნებისაგან ნაკარნახები, და ჩვენ ისევე აღვილათ შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ სიყვარულით გამოწვეული სურვილები, როგორც წყურვილი ჭიქა წყლის დალევით. აი რა არის „ჭიქა წყლის“ თეორია — ღრმა ექსპლოატატორული თეორია, მამაკაცის სივაგლახის თეორია.

თავის თავათ ცხადია, რომ რევოლიუცია ვერ შეურიგდება ვერავითარ სივაგლახეს და, მაშასადამე, ვერც მამაკაცის სივაგლახეს.

მამაკაცი ტანჯვას არ განიცდის სქესობრივი
 აქტისაგან. მისთვის ეს მართლაც “ჭიქა წყლის და-
 ლევაა”. დედაკაცს ჭიქა წყლის დალევით არა დაუ-
 შვა შემავდება რა, მაგრამ სქესობრივი აქტისაგან მას ბავ-
 შვი უჩნდება. აი სწორედ ეს ბავშვია მთელი საკი-
 თხის მთავარი და ცენტრალური აღგილი. მამაკაცის
 უხეშ-ექსპლოატორული, უგვანო თვალსაზრისით,
 მამაკაცი, დალევს რა ჭიქა წყალს”, უცდის—რო-
 დის მოუნდება კვლავ დალევა, დედაკაცია-კი უნდა
 აღზარდოს მთელი რესპუბლიკის ბავშები. განა შეგ-
 ვიძლია დავდგით იმ თვალთაზრისზე, რომ ბავშები
 რომელთა აღზრდაც არ ძალუდს რესპუბლიკას, დე-
 დებმდე აღზარდონ? ყველასათვის ცხადია ასე-
 თი აზრის უგუნურება. დედაკაცი ფიზიკურად უფ-
 რო სუსტია, მისთვის უფრო ძნელია სამუშაოს შოვ-
 ნა. ორსულობა და ძუძუს წოვება დედაკაცს ბორ-
 კავს და ხელს უშლის. და თუ მთელი ჩვენი რევო-
 ლიუციის და ჩვენი ხალხის მომავალს დედაკაცს
 წამოვკიდებთ ზურგზე, აშკარაა, ჩვენ, მამაკაცებს, ეს
 გაიძვერაობად და უგუნურებად უნდა ჩაგვეთვალოს.
 მაშინ მთელი ჩვენი მონაპოვარი ჰაერში იქნება ჩა-
 მოკიდებული, ვინაიდან სახელმწიფოს არ ძალუდს
 უზრუნველყოს ყველა ბავშვი.

ვის უნდა ეკისრებოდეს ბავშვებისთვის ზრუნვა?
 დედას და მამას. ბავშვის აღსაზრდელად და ფეხზე
 დასაყენებლად საჭიროა სულ ცოტა 15 წელიწადი.

შაშასადამე, წყვილის შეულლება უნდა იყოს ხან-
გრძლივი. ოოგორკ მოსკოვის „საღამოს გაზეთი“
იუწყება, რადიოთი გადაუციათ ჩემი მოხსენება, სა-
დაც მე ამავე საგანზე ვლაპარაკობდი. ოთველიღაც
მუშკორს ვერ გაუგია საქმე და კითხულობდა თურ-
მე—რა არის ეს წყვილისაგან შემდგარი შეულლე-
ბაო? რაღა თქმა უნდა, შეულლება უნდა ხდებოდეს
ორი პირის შორის: ცხადია, ერთი ადამიანი ვერ შე-
ულლდება, სამი კიდევ საჭიროზე მეტია. მიკვირს,
ურნალიტუ არ შეეცადა, ასეთი უახრო გაუვებ-
რობის განმარტებას. რა თქმა უნდა, ხდება შეულ-
ლება სამ პირს შორისაც — ეს არის მრავალცოლიანო-
ბა და მრავალქმრიანობა, უწესრიგო სქესობრივი
კავშირი და სხვ. ჩვენ ვიცით, რა არის ხანგრძლი-
ვი წყვილი შეულლება: ოცა კაცი და ქალი ხელს
აძლევენ და ეუბნებიან ერთმანეთს: რადგან ჩვენ
ერთმანეთი გვიყვარს, პირობას ვდებთ, ვიუთ ხან-
გრძლივ კავშირში, რათა აღვზარდოთ ჩვენი შვი-
ლებით, — ეს არის ხანგრძლივი წყვილი კავშირი.
ახლო მომავლისთვის ეს ერთად-ერთი ფორმაა შე-
ულლებისა, ომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის
აყვავების საქმეს. ამას ვერსად გავექცევით.

მაგრამ თუ ვამბობთ, ომ ცუდი კომუნისტია,
ცუდი საბჭოთა მოქალაქეა, ცუდი მშენებელია ის,
ვინც „ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავს“ და არ
ზრუნავს მომავალ თაობაზე, — ასეთ კომუნისტზე

შორს არც ის იქნება წასული, რომელიც, ისარგებლებს რა ისეთი წესით, რაზედაც აქ პარტიის სახელით ვლაპარაკობ, პირს ბურუაზიულ შეულლებისაკენ იბრუნებს.

გხვდება ზოგჯერ ისეთი საბჭოთა მოქალაქე და კუმუნისტი, რომელიც ამბობს: მე არ წამოვგებივარ ამ ანკესს; მე მყავს ცოლი, ბავშები. და შემიძლია ვიამაყო, რომ ამ მხრივ ვასრულებ ჩემს მოვალეობას. ხოლო თუ ჩაუკვირდები მის ოჯახურ მდგომარეობას, დაინახავ, რომ თვითონ ის საზოგადოებრივ ცხოვრებას მისდევს, ცოლი კი ოჯახურ საქმეებში იღრჩევება. ეს არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება შართებული ოჯახის ფორმატ. მამაკაცი პატივს უნდა სცემდეს თავის ცოლს, უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მასში საზოგადოებრივი ადამიანი აღზარდოს. ამიტომ ჩვენი ოჯახი ისე უნდა მოეწყოს, რომ მასში საზოგადოებრივი და ოჯახური მოვალეობა ცოტათ თუ ბევრათ თანასწორათ იყოს განაწილებული, მე ასეთ შემთხვევებში მეკითხებოდენ: მაშ, აკვანი უნდა ვარწოთო? დაალ, უნდა ვარწიოთ! თუ ამხანაგთან მიველ და დავინახე, რომ მამაკაცი, რომლის გულმკერდი წვერს დაუთარავს, აკვანს არწევს, ხოლო მისი ცოლი კრებაზე წასულა ან სწავლობს, — რა უნდა ვთქვა? მივალ და მაგრა ჩამოვართმევ ხელს, როგორც პატიოსან ლენინელს. სწორედ ასეთი შეულლება, სადაც აღგილი არა აქვს მამაკა-

ცის და დედაქაცის განსხვავებას, საღაც თანასწორათ არის განაწილებული მოვალეობა, უნდა ვსცნოთ ჩვენი იდეალის შესაფერ შეულლებად. ამას კიდევ ზავუბრუნდები, როცა ქალთა ყოფა-ცხოვრებაზე მექნება ლაპარაკი და მაშინ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ ლენინიდან ამონაწერებით, რომ ეს არის ერთად-ერთი სწორი, ჭეშმარიტ-მარქსისტული გადაწყვეტა ოჯახის საკითხის. ესლა კი უნდა გადავიდე ოჯახის საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა პრობლემებზე.

შორწინების და განძორწინების ახალი კანონი

მეტყველით: თქვენ ზრუნავთ ოჯახის სიმტკიცეზე, მაგრამ განა თვით თქვენ არ მიიღეთ საბოლოოთ სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასკომის სესიაზე, სადაც კამთიც კი გაიმართა, კანონი ფაქტიური ქორწინების და განქორწინების შესახებ? განა თქვენ მიერ აღიარებული თავისუფალი განქორწინების უფლება ძირს არ გამოუთხრის ოჯახს? თვით თქვენ იჩენთ წინააღმდეგობასო.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის და მასთან ერთად ჩვენი ხელისუფლების, ჩვენი მთავრობის პოლიტიკის ყველაზე უფრო მოსწრებული და მოხერხებული კრიტიკა შოგვეცა დემიან ბედნიძი თავის მშვენიერ წიგნაკში „მოკრძალებით და... არა დიდი ხნით, ანუ საბჭოთა ქორწინება“.

მე მოვიყვან ნაწყვეტს ამ წიგნაკიდან (ეს არც
ისე მოსაწყენი იქნება, რადგან დემიან ბელი კარ-
გათ სწერს). ეს ყველაზე უფრო მახვილია იმიდან,
რაც ამ საკითხის ირგვლივ ითქვა:

წინ გაექანა იუსტისახვომი,

და აცხობს ნამცხვრებს უფუარ ცოდიდან,
სიმემარცხენებ გაიტაცა ის,

და ეკლიანი გზა დაივიწყა,

დაივიწყა, რომ არ შეიძლება

აახტე მალლა „ზოგიერთ ადგილს“.

შესაძლებლობას საზღვარიც კი აქვს,

შორს ალისფერი სათვალეები,

და შეამცირეთ ეს ნახტომები,

მეტი სიტრთხილე...

არ ჩაუკვირდი, თუ რაზე ზიხარ,—

ჭირს შეეყრები!

ჩვენ ეს ახალი, კანონი ქორწინების და ოჯახისა,

არ ვიცით, რომელ საუკუნეში გამოგვადგება.

დანაშაული მისი ის არის,

რომ ის სრულიად მოგონილია,

და მის შემომქმედთ დავიწყებიათ

სიმტკიცე სოფლურ ყოფბ-ცხოვრების:

რომ ამ ცხოვრებას ადგილიდან

ასე იოლათ ვეღარა დავსძრავთ.

ეს სახუმარო არა—

უშედეგოთ თავს ნუ შევაკლავთ.

სოფელთან კავშირს ვეღარ დაიჭირ,

თუ გვერდს აუხვევ მის ჩვეულებებს.

ქალაქად—საბჭოთა ზნე-ჩვეულებაა,

ქალაქად—წითელი ალლუმებია,

ქალაქად—მაღალი ესტრადებია,

ქალაქად—საკანონმდებლო ლაყბობაა.

ქალაქად—ბზინავს, ბრწყინავს ცხოვრება.
და სოფლად კი?—

ობლობა,

შურიან-მტრობაა,

ბინძურობა,

უგნურობაა,,

მას არ ძალუდს დასთვალოს რამდენი დღეა კვირაში? ჰოი ნუ თუ ასეა სინამდვილეში?

ՅՈՒՆԵՏԻ ՀԻՎԱՆ ԱՇԽԱՐԴՆՈ, ՍԱ ԸԱՅՐ

კუნძულის ჩეკე ტბილის, და ჭავაშების დაქა,
თუ ჩვენ სოფლის ცხოვრებას,

မိမ်ချုပ်မှု အာရုံး မြန်မာ ပြည်သူတေသန၊ ပြည်

ଏହି ଯୁଦ୍ଧରେ କୁଟୀ ପାଇଁ ପରିପ୍ରେସ, ଅନ୍ତର୍ଗତ ପ୍ରକାଶକ୍ଷେତ୍ର, ଏବଂ ମିଲିନ୍ ପାଇଁ ପରିପ୍ରେସ, ଏବଂ ମିଲିନ୍ ପାଇଁ ପରିପ୍ରେସ,

କରୁଣାମୁଖ ଦେଖିଲୁଛନ୍ତି ଏହାରେ ପାଇଁ କାହାରେ କାହାରେ

ԵՐԵՎԱՆԻ ՏՐԱՎԵՐՏԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

შევარყიოთ აჩქარებით ჩვეებ იგი წყობა,
ბოლო არ მივსცეთ სამაგიერო მას
თასაყრდენი...

აბა შითხარით, რომელ წყაროდან

ସମ୍ବନ୍ଧିତ କାହାର ଦେଖିଲୁ ପାଇଲୁ

ეს საოცარი, მავნე ერები?

გლეხის ცხოვრება—წესებზეა მთლად აგებული.

გაჰყავს მას რიგათ ხნულები,

ତମ ସତ୍ୟସି, ତମ ମହିସ, ତମ ପର୍ବତ ଲୋଭି,

ან თუ კულტურული სენტრის გამზღვის წეს,

კუთან არყოფნის მიზანის დროის განვითარების უკანასკნელ პერიოდში, თუ ხარს აჭმიას.

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ଉପରେ, ଏହି କୋଣରେ କ୍ଷେତ୍ରରେ,

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀଙ୍କ ଉପରେ କାହାରୁ କାହାରୁ କାହାରୁ କାହାରୁ

ବୁଦ୍ଧିରେ ପ୍ରକାଶରେ ଲହାରୀରେ, ତଥା ଉଚ୍ଚ ଉତ୍ତରାଞ୍ଚଳୀରେ
ଯୁଗାନ୍ତାନ୍ତାର୍ଥୀ ଶର୍ମିଷ୍ଠା ମହାରାଜା ମିଶ୍ରାନ୍ତାନ୍ତା!

三

იცოდეთ ძმებს, იუსტისან კომიტან.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, ଶ୍ରୀହରି, ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ—ପାଇଁ

ପରିବାର—ପରିବାର କୁଳପାତ୍ରଙ୍କୁଣ୍ଡ,
ଯି ଶିଖିଦୁଇ କି ଉଚ୍ଚାରା—ହନ୍ତାଧିନ୍ତ ଶ୍ରଦ୍ଧାପଦ୍ମ:

რომ შენ რაც გსურდეს ის უყო.

არ დაგვისუსხოს ჩვენ ამ ჭინჭარმა ხელები.

არ დაგეკარგოთ პერსპექტივები!

გლეხი უკვეთავს ბოქტომს ბელლისთვის:

ქურდს პასუხს გასცემს შეუპოვარად გატეხისათვის

და თვის საქმეებს ანასკვებს იგი

ნამდვილი მტკიცე, გლეხური ნასკვით.

შვილს აქორწინებს - რძალსაც კარგს ითხოვს.

ქორწილი უნდა იყოს „ნამდვილი“,

და სმა-ჭამა კი რიგიანი,

ხომ ყველა სჭამდა,

ხომ ეშმაკეულს არ უკურთხია,

ხომ კუდიანსაც არ დაუსუსხავს

—ის აბანოში.

და ოუ არ არის, ვით წინა დროში,

ძველი წესები და მასთან მღვდელი,

მაშ; თვითონ საბჭომ ჩასჭიდოს ხელი.

მასხარობა იყოს თუ გინდ ხატები!

საქმე ისაა — ჰქონება „იჭვები“ —

რომ შეულლება ხდება „კანონით“.

ხოლო კანონი — რკინის მუხრუჭი,

უნდა სალტავდეს ჩასახულ ოჯახს.

— „ ქალიშვილს იმისათვის ხომ არ ვათხოვებ,

რომ მის ქმარს მხოლოდ ერთ ღამეს ყავდეს,

ხოლო დილას კი, მისი ბალიშით

თავის მამისკენ გზას გამოუდგეს!

გლეხის ბუნებას ვერ ეგუება,

— „ ოჯახი უკვე ქარს მიაქვს.

ერთი შებერვით იგი ინგრევა.

შეული იყოს ეს ძოლი განქორწინება!

კანონს ჩვენ უნდა ისევ მივცსცეთ სიმტკიცე,

თორემ მივეღით უგნურობამდე:

გავედევნე რა, ქალთა კაბის კუდა,
ყოველ ბუჩქის ძირს დაიქორწინებ.

მოქალაქე ბაყაყს, მოქალაქე კუს,
ვულოცავთ „შეულლებას ფაქტიურს.“

გლეხს რა საერთო აქვს ასეთ კანონთან:

— „დავაქორწინებ შვილებს მამა ანტონთან!“

როგორც ხედავთ, დემიან ბერნის აზრით, ჩვენ
თურმე გლეხობას პირს ეკლესიისაკენ ვაქნევინებთ.
მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ დემიან
ბერნი, მიუხედავად მთელი თავისი ნიჭისა და გო-
ნიერების, მიზანს ასცდა. ის ამბობს: გლეხს სურს
ქორწინება ნამდვილი იყოს, სურს დაქორწინდეს
„მამა“ ანტონთან. ინებეთ და დაქორწინდით! არა-
ვის აუკრძალავს მამა ანტონთან ქორწინება. გსურთ
იმღეროთ საქორწინო სიმღერები, გსურთ, რომ დე-
დოფალს წყალი აპკურონ, გინდათ, რომ მისი მეგო-
ბარი ქალები გულამოსკვნით ქვითინებდენ, გინჯათ,
რომ ქმარმა სიმბოლიურათ შემოჰკრას საკოლოს
მხარზე — კეთილი ინებეთ, აკრძალული არ არის, თუმ-
ცა, თუ სიმართლე გსურთ, არ მესმის, რატომ არის
ვერესაევი აღტაცებული ისეთი ქორწინებით, რომე-
ლიც სიმბოლოა ქალწულის სხვა ოჯახის. მონობაში
გაცემის და არავითარ სილამაზეს არ წარმოადგენს.

რა განსხვავებაა ახალსა და ძველს კანონს შო-
რის?

ის განსხვავება, რომ თუ უწინ ქალიშვილი მი-
ვიდოდა. მოსამართლესთან და ეტყოდა: ამა და ამ

ვაკისაგან ბავშვი მეყოლა და მსურს აღზარდოსო, და დახმარებას მოითხოვდა ამ ბავშის აღსაზრდელად, სახალხო მოსამართლეს უნდა ეკითხა: მმაჩში *) გატარებული ხართ, რეგისტრაციის ქაღალდი გაქვთო. თუ ქალიშვილი უპასუხებდა — არაო, მოსამართლე ეტყოდა: თუ მაჩში გატარების შესახებ ქაღალდი არა გაქვთ, მიბრძანდით, საღაც გნებავდეთ, ჩვენ ასეთ შეუღლებას არ ვცნობთო.

ეხლაკი მოსაართლე ჰეითხავს: შეგიძლია დაამტკიცო, რომ იმ ყმაშვილს ფაქტიური კავშირი ჰქონდა შენთანო, და თუ ქალი ეტყვის: დიალ, მთელმა სოფელმა იცის, რომ მე მასთან ვცხოვრობო, მორჩა — იხადე ალიმენტები.

მაშასადამე, ახალი კანონი არ აბრკოლებს ცერემონიალს, არ ეწინააღმდეგება ქორწინების და შეუღლების ამა თუ იმ წესს ჩვენთვის, მნიშვნელობა არა აქვს დიდ თუ პატარა ცერემონიალს. ჩვენ ვამბობთ: თუმცა შენ კანონის მიხედვით არ დაქორწინებულხარ, მაგრამ თუ ბავშვი გყავს — არჩინე იგი, არ გაბედო მიუგდო ის მოტყუებულ დედას. ჩვენ ვამბობთ: როგორიც უნდა იყოს ქორწინების ფორმები, თუ ქალს ბავშვი ეყოლება, ეს ბავშვი უნდა არჩინოს მან, ვინც მისი მამაა. მაკვირვებს, როვორ ეერ გაიგო დემიან ბუდნიშ ეს. ჩვენ რომ ეს კანონი

*) მოქალაქობრუვი მდგომარეობის აქტების ჩამწერი მიმართვლობა.

არ მიგველო, მაშინ, ბავშვი, რომელმაც სინათლე იხილა, ყოვლად უდანაშაულო და სხვა ბავშვებთან უკელაფრით თანასწორი, მაგრამ „მმაჩ“-ში არ გატარებული, დაკისრებული იქნებოდა მარტო დედის კისერზე, „მმაჩ“-ში გატარებული კი— მამის კისერზედაც:

პრივილეგიური „კანონიერი“ ბავშვები და უპრივილეგიო „უკანონო“ ბავშვები— განა შეიძლება შეურიგდეს ამას მუშური აზრი? განა შეგვიძლია შევიწყნაროთ ასეთი რამ? არასოდეს. ამიტომ, როგორიც უნდა ყოფილიყო კამათი სრ. საკავშირო ცენტრ. აღმ. კომიტეტში, მას აუცილებლათ უნდა დაედგინა, რომ ფაქტიურ შეულლბით დაბადებულ ბავშვსაც ყოველგვარი უფლება აქვს, რომ მასზე უნდა იზრუნოს დედამაც და მამამაც. აი მხოლოდ ამას ამბობს კანონი.

დემიან ბედნი, სამწუხაროთ, უფრო შორს მიდის— „ჩვენ ამ კანონს სიმტკიცე უნდა მივუმატოთ“. რა სიმტკიცე? ბატონყუმური სიმტკიცე? რა კი ქალს გადაეკიდე, ან ქალი გათხოვდა— მორჩა, უნდა ითმინო ყველაფერი. თქვენ ერთმანეთი მოგბეზრდათ, არ შეგიძლიათ ერთად ყოფნა, ჯოჯოხეთად გადაგექცათ ერთად კხოვრება— მაინც იარეთ ერთ ულელ ქვეშ ეს ხომ ქრისტიანული ასკეტიზმია, ეს ხომ ზომას გადასული მოთმინებაა, უაზრო თავმდაბლობა. ჩვენთვის ეს მიულებელია. ჩვენ მიგვაჩნია,

რომ მამაკაციც და დედაკაციც თავი სუფალი უნდა
იყოს თავისი ბედის გადაწყვეტაში. თუ შენ შეულლ-
ლი, მაგრამ ეს შეულლება სასურველი არ გამოდგა,
აღარ მოგწონს, აღარ გიჩიდავს,—სულ ერთია, მა-
მაკაცი ხარ თუ დედაკაცი,—შენი მოვალეობაა
უარი სთქვა ამ შეულლებაზე და შეინარჩუნო ის
ცოცხალი ძალა, რომელიც იღუპება-ინთქება ამ შე-
ულლებაში, წყლულდება მასში.

თუ უკვე შეულლებული დედაკაცი ან მამაკაცი
შეხვდა სხვა მამაკაცს ან დედაკაცს, რომელმაც მისი
გული დაიპყრო, რომელზედაც შეუძლია სთქვას: აი,
ამასთან ვპოვებ დიდ ბედნიერებას, შევქნი ნამდვილ
მშრომელ ოჯახს, მაგრამ ამას ხელს უშლის ჩემი
წინანდელი შეცდომაო,—განა შეგიძლიათ გადაუდ-
გეთ ამას გზაზე? ეს უანგარიშობა იქნებოდა, მწუ-
ხარების გაძლიერება, აღამიანის ცოცხალი ძალების
გაფლანგვა.

ჩვენ ვამბობთ: როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს
განქორწინების უფლება აქვს. თუ ამ უფლებით ბო-
როტათ სარგებლობენ თვალთმაქცნი, მაშინ, გარდა
კანონისა, ამას უნდა ებრძოლოს თვით საზოგადოე-
ბრივი აზრიც. სავსებით ცხადია, რომ ისეთი შემ-
თხვევა, როდესაც შრომითი ცოლ-ქმრული კავშირი
უნდა დაირღვეს, იშვიათი მოვლენაა,—შეიძლება
ასეთი რამ აღამიანს შეემოხვეს მთელს თავის სი-
ცოცხლეში ერთხელ ან ორჯერ, თუ მთლათ უბედუ-
რია იგი.

შეიძლება მოხდეს, რომ თქვენ პირველათ შეხვდით ისეთ ადამიანს, რომელთანაც შეუძლებელია ფეხაწყობით სიარული, ხოლო შემდეგ კი შეხვდით ისეთ ადამიანს, რომელთანაც გაცილებით უჭეოესათ შეგიძლიათ მოაწყოთ ცხოვრება. მაგრამ, თუ თქვენს წინაშე დგას ადამიანი (ვაჟი თუ ქალი), რომელიც სიამაყით გეუბნებათ, რომ წელს მეოთხეთ განვქორწინდიო, რას იტყვით ამაზე? საზოგადოებრივი წესით ეს სასტიკათ უნდა გაიკიცხოს. ეს ერთგვარი დანაშაულია, დანაშაული, რომელსაც კანონი დევნას ვერ დაუწყებს, მაგრამ რომელიც მასხარათ აგდებაა ამავე კანონის, მახლობლის მოტყუება, გარყვნილება, სქესობრივი ლტოლვის სილალე. ეს უდიდესი სისაძაგლეა და საჭიროა, რომ საზოგადოებრივი აზრიც ასე უყურებდეს მას. სულ ერთია, რომელმა პასუხისმგებელმა მუშაკმაც არ უნდა ჩაიდინოს ეს, ჩვენ უნდა გავკიცხოთ იგი საზოგადოებრივათ, ზიზღი გამოუწხადოთ: ვინც ასე იქცევა, ის სცილდება იმ ნორმალურ, სალ ხას, რომელსაც ატარებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

ადამიანს, რომელმაც შეუღლებას ორჯერ მიმართა, ამომწურავი პასუხი უნდა ჰქონდეს თავის გასამართლებლად სინიდისის წინაშე, მას ყოველ წუთში უნდა შეეძლოს დაამტკიცოს, რომ სხვაგვარათ არ შეეძლო მოქცეულიყო. ვინც ამ შემთხვევაში თვალთმაქცობს, ის ცხოვრების განმანადგურებელია და

არა ალმშენებელი, ის კონტრრევოლიუციონერია, არა პოლიტიკური, არა მეურნეობრივი, არამედ ყოფა-ცხოვრებითი კონტრ-რევოლიუციონერი. თვითონ დამრღვევი ელემენტია და სხვებსაც პარაზიტული ცხოვრების მაგალითს აძლევს.

ეს უნდა მივიღოთ საერთო საზომად ასეთი მოქმედების განსჯის დროს. კანონი საზღვარს ვერ დასდებს, იგი ვერ იტყვის, მაგ., რომ ორჯელ შეიძლება განშორება და სამჯერ არაო—ასეთი საზომის შემოღება არ შეიძლება. ეს თვითეულო აღამიანის სინიდისის საქმეა. მაგრამ ბავშვები არ უნდა იტანჯებოდენ ამის გამო. თუ გაეყარე ცოლს, ხოლო ბავშვი გყავ', უნდა არჩინო კიდეც იგი. ჩვენ საკანონმდებლო წესით ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევაში ასეთმა იოლმა გაყრა-განშორებამ გავლენა არ იქონიოს ბავშვების ბეღზე.

დედაქაცის ჟოვა-ცხოვრებითი გდგომარეობა

ჩვენი ოჯახური ურთიერთობის მცირე ანალიზის შემდეგ გადავდივარ დედაკაცის ყოფა-ცხოვრებით მდგომარეობაზე. ეს საკითხები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან. მაგრამ საჭიროა მრავალჯერ განმეორება იმის, რასაც ამის შესახებ ლენინი ამბობდა, ვინაიდან ახალი წესები ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიტანია ჩვენს პირად ცხოვრებაში. აი რას ამბობდა ლენინი:

„დედამიწაზე არც ერთ მოწინავე ბურუუაზიულ რესპუბლიკაში არც ერთ დემოკრატიულ პარტიას მრავალი ათეული წლებას განმავლობაში არ გაუკეთებია ის, რაც ჩვენ ჩვენი ხელისუფლების პირველ წლებში გავაკეთეთ (ეს იყო თქმული 1919 წ). ჩვენ ჰეშმარიტად ქვა-ქვაზე არ დაგვიტოვებია იმ საზიზლარი კანონებიდან, რომლებიც ეხებოდენ ქალთა არათანასწორუფლებიანობას, განკორწინების სიძნელეს, მის საზიზლარ ფორმალობას, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა არ ცნობას, მათი მამების ძებნას და სხვას და რომელთა ნაშთებიც, ბურუუაზიის და კაპიტალიზმის სამარცხვინოდ, მრავლათ მოიპოვებიან ყველა „განათლებულ“ ქვეყნაში. ჩვენ ათასჯერ მეტი უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რაც გავაკეთეთ ამ სფეროში. მაგრამ, რაც უფრო კარგათ გავსწმინდეთ ნიადაგი ძველი ბურუუაზიული კანონებისა და დაწესებულებების ნანგრევებისაგან, მით უფრო ნათელ გახდა ჩვენთვის, რომ ეს მხოლოთ ნიადაგის მომზადებაა შენობის ასაგებად და არა თვით შენობის აგება.“

რას ნიშნავს ეს? მართალია თუ არა ლენინი? მართალია. ჩვენი კანონმდებლობა ყველაზე უფრო საკეთილოა დედაკაცისთვის მთელ დედამიწაზე და ჩვენ ველარაფერს მივუმატებთ ამ კანონმდებლობას იმისთვის, რომ დედაკაცი—ჩვენი და, ჩვენი მეგობარი—ჩვენი თანატოლი გაჭხადოთ. დედაკაცი გა-

უათანასწორეთ მამაკაცთან და მივანიჭეთ მას ყველა პოლიტიკური უფლება; მივანიჭეთ განქორწინების უფლება, მივანიჭეთ საზიაროთ ქონების შეძენის უფლება, უფლება გვარის არჩევის, ბინის არჩევის, შრომის არჩევის; ჩვენ მივანიჭეთ დედაკაცს ყველა ის უფლება, რაც მამაკაცს აქვს.

მაგრამ ყველაფერია ეს? საკმაოა ეს? არა, იმი-
ტომ რომ ეს უფლებები მხოლოდ პოლიტიკურ
სფეროშია აღიარებული; ხოლო ოჯახი, როგორც
უკვე ვთქვი, არა მარტო პოლიტიკური დაწესებუ-
ლებაა, ბურუუაზიის მიერ ქმრის გასაბატონებლად
აღიარებული, არამედ ეკონომიური დაწესებულებაც.
ლენინმა იცოდა ეს, იგი ამბობდა:

„დედაკაცი, მიუხედავათ ყოველგვარი განმათა-
ვისუფლებელი კანონისა, კვლავ რჩება ოჯახის მო-
ნად, რადგან მას ტვირთათ აწევს, აღრჩობს, აჩლუნ-
გებს, ამცირებს. ოჯახის წვრილმანი საქმე, რომლის
გამოც იგი მიჯაჭულია სამზარეულოზე, საბავშვო-
ოთახზე, რომელიც ნოჟავს მის შრომას ველურ-უნა-
ყოფო, წვრილმან, ნერვიულ, დამაჩლუნგებელ, და
მაუძლურებელ სამუშაოთი“.

მაშასადამე, ჩვენი ამოცანა—მოვსპოთ ოჯახური
მეურნეობა. როგორ შეიძლება მოისპოს ოჯახური
მეურნეობა? როგორ შეიძლება განვათავისუფლოთ
მრავალი მილიონი მეოჯახე ქალი, მოვაშოროთ იგი
ოჯახის კერას, ქვაბებს და ქოთნებს?

ნამდვილი, სრული, საბოლოო განთავისუფლება
არის ყოფა-ცხოვრების სოციალიზაცია, — ის გზა, რო-
მელზედაც ჩვენ ვდგებით ნელ-ნელა და თანდათან,
რისთვისაც შეძლების დაგვარათ ვაწყობთ საზოგა-
დოებრივ სამრეცხველოებს, საზოგადოებრივ კვებას,
საზოგადოებრივ აღზრდას ბავშვებისას. თუ ჩვენ
ვამბობთ: აღზარდე შენი ბავშვები! — ამასთანავე ვამ-
ბობთ: სახელმწიფო იმდენად, რამდენადაც მისი
სახსრები გაიზრდება, ხელს გამოგიწვდის და დაგე-
ნებარება უფრო და უფრო მეტად.

ჩვენ ვიცით, ორთქლის სამრეცხველოებთან შე-
დარებით, რამდენი დრო იკარგება უქმად ოჯახში
რეცხვის დროს. კაცობრიობა უზომო დროს ჰკარ-
გავს მძიმე და დამაჩლუნგებელ სამუშაოზე, მაშინ,
როცა მისი შესრულება მცირე ორგანიზაციაქმნილი
შრომით შეიძლება.

ჯერ-ჯერობით, რა თქმა უნდა, საზოგადოებრი-
ვათ „ოჯახური“ შრომის მოწყობა შეგვიძლია მხო-
ლოდ აქა-იქ, დიდ ქალაქებში. ერთბაშად არ ძალ-
გვის მისი გავრცელება მთელი რუსეთის ქონებიან
სოფლებზე, მაგრამ თანდათან ამასაც მოვახერხებთ.
ჩვენ ვერ შევურიგდებით პატარა გამურულ სამზა-
რეულოებს ოჯახის 5-6 სულისათვის, რაღაც კარ-
გათ ვიცით, რომ იმავე ფულით, იმავე შრომით
შეიძლება აღამიანმა მიიღოს მშვენიერი, საღი, გემ-
რიელი საჭმელი საზოგადოებრივ სასაღილოებსა და

სამზარეულოებში, სადაც იქნება კარგი მოწყობი-
ლება, მუსიკა, გაზეთები, ჭაღრაკი, სადაც მართლაც
განიცდის ადამიანი შვებას და დასვენებას. ყოველი-
ვე ამის მოცემა შეიძლება იმავე სახსრით, რაც
იხარჯება უგემურ შინაურ „ბორშ“-ზე. რომლის
ყოველ კოვზთან მრავალი ჩვენგანი ამ უამათ ნოქავს
დედაკაცის თავისუფლებას, ლირსებას, მომავალს.

ერთბაშათ ამის შეცვლა არ შეგვიძლია, მაგრამ
ჩვენ უნდა დავადგეთ საზოგადოებრივ სასატილოებ-
ზე გადასასვლელ ხაზს.

ეს ეხება ბავშვების აღზრდასაც. ჩვენ არ უარ-
ვყოფთ დედის უფლებას ბავშვის აღზრდისა და
კუების საქმეში, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ
რაც შეიძლება მალე მივეშველოთ მას, ვინაიდან
პედაგოგმა, მცოდნე ადამიანმა, რომელსაც სპეცია-
ლური ცოდნა აქვს ბავშვების აღზრდის საქმეში,
ხელი უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს. დედობა და მამო-
ბა უფრო აღვილია, ვიდრე ბავშვის აღზრდა — აღ-
ზრდა რთული საქმეა, და შინაური აღზრდის ნაცვ-
ლად უნდა შევქნათ წესიერათ მოწყობილი ყრმათა
სახლები, წესიერათ მოწყობილი საბავშვო ბაღები,
წესიერათ დაყენებული საზოგადოებრივი განათლება.

ჩვენ მხოლოთ თანდათან მივაღწევთ ამას. ჯერ-
ჯერობით კი უნდა დაუჯერდეთ იმ სახსრებს, რაც
მოგვეპოება და გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც ამ
სახსრებით შეგვიძლია.

რის გაკეთება შეიძლება ეხლა, რომ მცირედათ
მაინც განვათავისუფლოთ დედაკაცი ოჯახური მო-
ნობიდან? ვეცადოთ მივაღწიოთ იმას, რომ მამაკაცი
კეთილსინდისიერათ ექცეოდეს დედაკაცს, რომ იგი
არ ცდილობდეს წამოაჯდეს დედაკაცს კისერზე,
სული ამოართოს ოჯახური საქმეებით, თითონ კი
თავისუფალი იყოს, იმუშაოს მასთან ერთად მეგობ-
რულათ, თანხმობით, და პატავისცემით მოეპყრას
დედაკაცის უფლებას და მომავალს.

ახალგაზრდობა და ხულიგობა

ეხლა გადავალ ახალგაზრდობაზე, მის მდგომა-
რეობასა და ყოფა-ცხოვრებაზე. ეს უდიდესი მნი-
შვნელობის საკითხია. ახალგაზრდობა აღამიანთა ის
ლაშქარია, რომელიც უშუალოდ ჩვენ შესაცვლელად
მოდის, და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ყოფა-ცხოვრების
რა პირობებშია იგი ჩაყენებული. არ შევეხები სწავ-
ლების პრობლემებს, პედაგოგიურ პრობლემებს,
ამასთან არ შევეხები არა იმიტომ, თითქო ისინი
ყურადღების ღირსათ არ მიმაჩნდეს, არა იმიტომ,
თითქო ისინი ინტერეს მოკლებული იყონ, ან არა
იმიტომ, თითქოს ნაკლებ ვიცნობდე ამ პრობლე-
მებს; პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ყველა ეს
პრობლემა მეტათ ღირსაშესანიშნავია, მეტად საინ-
ტერესო და მეტ კარგად ვიცნობ მათ, შეუძლებლათ
მიმაჩნია ყოფა-ცხოვრების საკითხთა საერთო გად-

მოცემის დროს გაკვრით შევეხო ჩვენი სწავლების საკითხს. ეს სპეციალური საკითხია, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს.

მე თვალყურს ვადევნებ კომკავშირელთა ცხოვრებას, ვსწავლობ მას ჩვენი ბეჭდვითი სიტყვით, „კომსომლსკაია პრავდა“-თი, რომელიც ძლიერ კარგათ ასახავს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას, ისეთი თხზულებებით, როგორიც არის კრებული „ყოფა-ცხოვრება და ახალგაზრდობა“, რომლის წაკითხვას ყველას ვურჩევ, და ბევრი და ღიღი ნაკლი შემიმჩნევია ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებაში. დიახ, მრავალი დეფექტი შემიმჩნევია იქ, განსაკუთრებით ჩვენ დარაზმულ ახალგაზრდობაში, ჩვენს მიღიონ-ნახევრიან კომკავშირში, რომელიც გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობას ავანგარდია, უდიდეს გავლენასაც ახდენს ამ ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებაზე. მე ბუხარინთან ერთად არა ერთხელ მიმითითებია იმაზე, რომ ჩვენ კომკავშირს და მთელ ახალგაზრდობას ემჩნევა რომანტიული თავაშვებულება. არსებობს ისეთი შეხედულება, თითქო სასწავლო, საფარიკო შრომა, რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო გვიკაკუნებს კარებს, არ არის „ნამდვილი რევოლუციონერის“ ყურადღების ლირსი. შემჩნეულია უაღრესი დაუდევრობა ბინისა და ტანისამოსის სისუფთავისადმი, ადამიანთა ურთიერთობისადმი, „ბოსიაკური“ მიღვომა. ყველაფრისადმი: ჩვენ, რევოლუ-

ციონერებს, არ შეგვთერის დავემსგავსოთ ამ მხრივ
დასავლეთ ევროპის მეშჩანურ ახალგაზრდობას. ჩვენ
ხომ ქუდის დახურვაც არ ვიცით წესიერათ, უსა-
თუოთ ყურზე უნდა გადავიგდოთ, და ყველა ამის
გამო ჩვენში ქცევა და მიხვრა-მოხვრაც განსაკუთ-
რებულია, არა მიმზიდველი. მე ბუხარინთან ერთად
აღმინიშნავს, რომ ეს უდიდესი შეცდომაა, რომ ამის
დაშვება იმ ხანებში კიდევ შეიძლებოდა, როცა ვან-
გრევდით, დღეს კი ყოვლად მიუღებელია, დღეს,
როცა ვაშენებთ, როცა გვჭირია უაღრესი სისწორვა,
უაღრესი წესიერება. „ბოსიაკ-რომანტიკოსს“ არ
უყვარს ასეთი სისწორვე, მას ეზიზლება „გერმანული
წესიერება“. „ჩვენ რევოლიუციონურ-სლავურ ბუნე-
ბას არ უყვარს ყოველივე ეს“. ჩვენ კი მოვითხოვთ
წესიერებას, ანგარიშიანობა-დამზოგველობას ჯან-
მრთელობის მიმართ, დროს მიმართ, ურთიერთობაში.

სწორ-ზომიერება, დისციპლინა, საქმიანობა,—ამ
რას ვაყენებთ ჩვენ პირველ რიგში. ეს რევოლიუცი-
ის მოთხოვნილებაა აღმშენებლობის ხანაში. ამაზე
მივაქცევდი ახალგმზრდობის ყურადღებას. მაგრამ
მის ყურადღებას მივაქცევდი სხვა რამეზედაც—ეს
არის პედანტიზმი, ჩინოვნიკობა, პორტფელიზმი, რო-
მელიც ფეხს იკიდებს ზოგჯერ კომკავშირელთა შო-
რის. ავლიშნავდი პირმოკუმულებს, სერიოზული
სახის მატარებლებს. ასეთ ჭაბუკთან უხერხულიადაც
მიმაჩნია სთქვა საოხუნჯორამ, სამხიარულო, ცეკვა-

თამაში, ყმაწვილური სიხარული და სხ. ასეთი კომ-
კავშირელი ისე შემოგიბლვერს, რომ ურუანტელი
დაგივლის. ის მეტად სერიოზულია — ყველაფერს
პროგრამის მიხედვით აკეთებს. პროგრამის მიხედვი-
თვე იძინებს, ყოველ შემთხვევაში, სანამ დაიძინებ-
დეს, ყველაფერს პარტიული პროგრამის მიხედვით
აკეთებს. ის დიდათ სერიოზულია. მისგან გარბის
ყოველივე მხიარული, ყოველივე ცოცხალი. ასეთ
ასალგაზრდას შეუძლია გაყინოს თვით კომკავშირიც,
როგორც მოწმობს კომკავშირელთა თვალსაჩინო მე-
თვალყურე ამხ. სლეპკოვი. იყო შემთხვევები, როცა
სოფლის და ფაბრიკა-ქარხნის ყმაწვილები — ვაჟები
და ქალები — ამბობდენ: წავიდოდით კომკავშირში,
მაგრამ იქ მოწყენილობაა, განძრევაც კი არ შეიძ-
ლება, ყველაფერი სკოლად გადააჭირეს, ბიუროკრა-
ტიული კანცელიარია გამართესო.

მაგრამ ეს მაინც უბრალო რამ არის. ამაზე აღარ
შევჩერდები, რადგან ეხლა ახალგაზრდობის წრიდან
მოგვევლინა უფრო საშიში რამ, მასთან დაკავში-
რებული, მისი მონათესავე — ხულიგნობა.

ამხ. ტომსკი მართალი. იყო, როცა თავის მოხსე-
ნებაში ამბობდა: ნუ გადააჭარბებთ ხულიგნობის სა-
კითხში, ნუ ამბობთ, რომ ამაში დამნაშავე უმთავ-
რესათ მუშათა ახალგაზრდობაა. ჭეშმარიტებაა —
არ უნდა გადავაჭარბოთ, მაგრამ არც უნდა შევამ-
ციროთ ფაქტი.

სტატისტიკური ციფრები გვეუბნებიან, რომ ხულიგნობენ მეტ წილათ ახალგაზრდები 16-დან 25 წლამდე. ციფრები ამბობენ, რომ ხულიგნობა ვითარდება სწორედ მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობაში და რომ უფსკრულისკენ მიექანებიან ნაწილობრივ კომედიურელებიც.

რა არის ხულიგნობა თავისი გარეგნული განსაზღვრით? ეს არის თავხედობა, რომელიც ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას არღვევს, რომელიც უბრალო უსიამოვნო ცელქობიდან აღის ბოროტმოქმედებამდე იმ შემთხვევაში, როცა ხულიგნობენ ხროვათ, როცა ერთმანეთს აქეზებენ. ქალის მიმართ ქმულ რომელიმე უწმაწურ, უზრდელ სიტყვიდან პირდაპირი გზაა ჯგუფურ გაუპატიურებამდე. როცა მე და სხვა მკვლევარნი ჩაუკვირდით ამ მოვლენას და შევეცადეთ გვეპოვა ახალგაზრდობაში გავრცელებული ხულიგნური მოვლენის საერთო მიზეზები, დავინახეთ, რომ სევდა და თავხედობა ხელიხელ ჯადაბმულები მიღებან. აქედან იწყება ის ხაზი, რომელიც თანდათან ვითარდება და თავდება უფრო არა სასიამოვნო გამოსვლით, ზოგჯერ ბოროტმოქმედებითაც. მეორეს მხრით—სევდა, პესიმიზმად გადაქცეული, თვითმკვლელობით ბოლოვდება.

სევდა, რომელიც თვათმკვლელობით თავდება, თავხედობა, რომელიც ბოროტმოქმედებით თავდება, — აი მოვლენები, რომლებიც არ საჭიროებენ არც

გადაჭრებებას და არც შემცირებას. რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდება ჩვენი მუშური და გლეხური ახალ-გაზრდობის უმრავლესობაზე, არც დიდ უმცირესობაზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ამ ახალგაზრდობის უმცირესობაზე ხომ მაინც ვრცელდება. ესეც საკმაოა იმისთვის, რომ მან უაღრესათ მიიქციოს ჩვენი ყურადღება. იქ, საღაც ერთდებიან ეს ხაზები — თავხედობი და ბოროტმოქმედება, სევდა და თვითმკვლელობა, — ცენტრში სდგას არყით სავსე ბოთლი.

წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა ადამიანთა ორი ტიპი — ივანე და სტეფანე. ივანე დაბადებითვე აქტიური ბუნების პატრონია. როცა ის ფხიზელია, მასში ვერავითარ თავისებურებას ვერ შეამჩნევთ, გარდა იმისა, რომ აქტიურია, მოუსვენარი, მხნე, უყვარს გულახდით თავისი აზრის გამოთქმა იმის შესახებ, რასაც ხედავს. დალია ივანემ არაყი — და მაშინვე ქრება ყოველივე ის, რაც მას თავს აკავებინებდა, ქრება ლირსების შესახებ მოსაზრება, მოსაზრება იმაზე, თუ რას იტყვის ხალხი, ხომ არ მოელის სასჯელი და სხვ. რჩება მხოლოდ ერთი: რაღაც შინაგანი უკმაყოფილება, ბოლმა, სურვილი ვიღაცას რაღაც დაუმტკიცოს ამ უკმაყოფილების გამო, დიდი სურვილი შეიტანოს „ამ უგემურ ცხოვრებაში“ რაღაც ღვაწლი, ავანტიურა — „განი, მოვდიგარ ვაუკაცი!“ როცა ის სამიკიტნოდან გამოდის, სურს. ჩაიღინოს რაღაც არაჩვეულებრივი. და იწყებს.

ივანე თავხელობას. როცა შეაქებენ ამ თავხელობის-
თვის და ეტყვიან: ყოჩალ ივანე! რა ბიჭობა ჩაიღინე
და, მილიციონერსაც კი არ შეუშინდიო,—ივანე მე-
ორეთ უარეს ოინს სჩადის: ამისთვის ხომ უფრო
მეტად შეაქებენ! იკრიბება მთელი კამპანია, რომე-
ლიც გართულია ასეთი საქმეებით. ივანე ყველას
პირზე აკერია და, ივანეც უმატებს და უმატებს „შე-
სანიშნავ“ საქმეებს და, ბოლოს, სიმხეცემდეც მიღის.
აი— ერთი გზა და უი როგორ როლს თამაშობენ
ალკოჰოლით შესუსტებული შემაკავებული ცენტრები,
რომელნიც თანდათან მიაქანებენ აღამიანს უფსკრუ-
ლისაკენ.

სტეფანე კი სევდით შეპყრობილი კაცია: დადის
ჯიბეში ხელებჩაწყობილი თვალები ძირს დაუზრია,
არავითარ აზრს არ გამოსთქვამს, უფრო კი ბუზლუნებს
თავის ბედზე. ჩვეულებრივ დროს, სანამ დალევდეს,
სტეფანე არათრათ არ არის ღირსშესანიშნავი,— შე-
უმწინეველი ახალგაზრდაა და მეტი არათერი. მას
თავისი იმედებიც აქვს: ეხლა ჩემი საქმე ცუდათ
არის, უმუშევრათ ვზივარ, ყველა მჩაგრავს, მაგრამ
შეიძლება ხვალ ბედმა გამილიმოს, შეიძლება ხვალ სა-
მუშაო ვიშოვნო; თუ კარგათ წავიდა საქმე— ჭალე-
ბიც ყურადღებას მომაქცევენ; დღეს ცუდია ჩემი
მდგომარეობა— ხვალ კარგი იქნება.

მაგრამ აი სტეფანემ დალია რამდენიმე ჭიქა
არაყი: იწყებს ტირილს, მლერის სევდიან პანგებს:

„ეხ, ცხოვრებავ ჩემო, ბედურულო, თავო ჩემო, და-
ლუპულო! სანუგეშო წინ არათერია, არავის უყვარ-
ხარ, ზედმეტი ბარგი ხარ!“ და სხვ. ბანის მიმცემნი-
ხომ ყოველთვის მოიპოვებიან, და იწყებენ ერთად,
გუნდათ: აძლიერებენ და ა აგრებენ პესიმიზმს. დღეს,
ხვალ, ზეგ. ერთ შემთხვევას მეორე მოსდევს, სანამ
არ იტყვიან: განა უმჯობესი არ არის, ერთხელ და
სამუდამოთ ბოლო მოელოს ასეთ ცხოვრებასო. არა-
ყი უქაც თავისას შვრება, შლის შემაკავებელ ცენტ-
რებს, და ახალგაზრდა არსება, რომელსაც ზოგჯერ
ალარ ძალუძს გონების მოკრება, რომლის გადაწყვე-
ტილებასაც სისწრაფე ახასიათებს, ესალმება წუთი-
სოფელს.

მაგრამ მარტო არაყია ამაში დამნაშავე თუ დამ-
ნაშავეა თვით ახალგაზრდობაც? აქ დამნაშავე მარ-
ტო არაყი არ არის და არც მარტო ახალგაზრდობა,
დამნაშავეა საერთო მიზეზი—გარდამავალი. ხანის
ვითარება, ისტორიული მომენტი საჭიროა ამაში
გარკვევა.

ბრძოლა ახალგაზრდობის ულიერი დაცვის ფინანგდებ

ხულიგნობა, რომელიც მიღის ბოროტმოქმედე-
ბამდე, ნგრევამდე და მკვლელობამდე, ყველა ქვე-
ყანაში. მძვინვარებს: საფრანგეთში, ინგლისში, აშე-

რიკაში — საღაც გნებავთ. რით აიხსნება ხულიგნობა
იქ? იმით, რომ იქ ახალგაზრდებისთვის საძუშაო
მეტად უფერულია, მერთალი და ვერ აკმაყოფილებს
ახალგაზრდობას. სამუშაოს, საქმეს იქ ჭმნის ბურ-
ულაზიული წყობილება, რომელიც ხშირად სამუდა-
მოთ აქვიდრებს ახალგაზრდების ასეთ მდგომარეო-
ბას. ბურულაზიული წყობილება, თავისი ბუნების
მიხედვით, ასობით ხდის ადამიანებს ზედმეტ ბარ-
გად, ცხოვრების მიერ განწირულად, ამიტომ ბურ-
ულაზიულ ქვეყნებში ხულიგნური პროტესტი ხშირად
სიმპატიურიც არის — იგი, გარემოების მიხედვით,
ზოგჯერ ანარქიზმშიც გადადის. ხოლო, როცა
პროლეტარიატი წითელ დროშას შლის, ზოგი ხუ-
ლიგანი ემხრობა მას, იმიტომ რომ ისინი უკმაყო-
ფილონი არიან ბურულაზიული წყობილებით, და-
ჩაგრულნი არიან. ისინი ბუნებით აქტიური ხალხია.
ისინი უდიერათ იქცევიან ვიღრე რევოლიუცია არ
არის, ხოლო როცა რევოლიუციაა, მათი ნაკადი რე-
ვოლიუციონურ ტალღაში ერევა. რევოლიუცია
ახერხებს ნაწილის გარდაჭმნას, მის შეერთებას, მაგრამ
ნაწილი თვით ებრძვის რევოლიუციას, ხრწნის მას.
ეს არის აქტიურთა ბედი. ხოლო იმათ, ვინც სუს-
ტია, ვის თავზედაც ცხოვრებამ გადაიარა, რა დარჩე-
ნიათ სხვა, თუ არა პროტესტის განცხადება ტირი-
ლიო ან თვითმკვლელობით? ბურულაზიულ ქვეყნებში
გასაგებია ეს.

მაგრამ ჩვენში, ჩვენს ცხოვრებაში დასაშვებია განა ეს? ცხადია, ჩვენ აშაზე პირდაპირი და სწრაფი პასუხის მიცემა შეგვიძლია: არა, დაუშვებელია.

მაშ რატომ აქვს ამ ბოლო დროს ჩვენში ამ მოვლენას ადგილი, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს კავშირში ბურუუზიული ხელისუფლება დამხობილია? რა აზრით ვამბობ მე, რომ ეს დასაშვები არ არის ჩვენს ქვეყანაში? სწორედ იმ აზრით, რომ ჩვენში ეს ნაკლი—უმუშევრობა და ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრია ჩაბმული მომაბეზრებელ მუშაობაში— დროებითი მოვლენაა. თვით პრინციპი ბურუუზიისა არის უთანასწორობა და ექსპლოატაცია. ჩვენში კი ცხოვრება თანდათან ეწყობა, ისწრაფვის იქითკენ, რომ მოსპოს ყოველგვარი უთანასწორობა, რომ მეურნეობა გეგმაშეზომილათ მოეწყოს, რომ თვითეულს მიეცეს სასიამოვნო შრომა და მისი წილი სიხარულისა.

თუ ასეა, რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენში ადგილი ასეთ მოვლენებს?

იმიტომ, რომ ეს გზა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობების გადაწყვეტისკენ მიდის, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია მუშური და გლეხური ახალგაზრდობის მრავალ ელემენტს. იგი სავსებით კომკავშირის მიერაც არ არის, ათვისებულ-შეგნებული.

სამხედრო კომუნიზმის დროს ხულიგნობა გაქრა ისევე, როგორც წყალდიდობის დროს გუბეები

ჭრება. ოა უნდა იქ გუბეებს, სადაც წყალი მეორე
სართულამდე აღის ხოლმე! როცა მთელი ერი ესწრა-
ფვოდა ნგრევას, ახალგაზრდობა გატაცებული იყო
ასეთი გრძნობებით: დაანგიე, შური იძიე, დაიტაცე
ნაძარცვი. შეგნებულებთან და მოწინავეებთან ერ-
თად რევოლიუციაში ჩაებნენ ისეთი ელემენტებიც,
როგორიც დაგვიხატა ბლოკმა თავის პოემაში:
„თორმეტა“ ძნელია შიმშილის ატანა ფრონტზე
ტყვიის ქვეშ, მაგრამ აი ერთი იერიში კიდევ და
აიღებ სანგარს, რომლის იქითაც შენს წინ გაი-
შლება სწორი გზა ბედნიერებისაკენ. თუმცა სისხლი
წურწურით ჩამოგდის და ჭრილობა ისეთი ღრმაა,
რომ ძვლები მოსჩანან, მაგრამ ერთი შეტევა კიდევ,
კარები გაიღება და თავს ამოჰყოფ სოციალისტურ
სამოთხეში. აი როგორ განიცდიდენ მაშინ მოვლე-
ნებს.

სიმაგრე ავიღეთ, კარი გაიღო და მივიღეთ სო-
ციალიზმის შენების უდიდესი უფლება, მაგრამ ვერ
მივიღეთ უკვე აშენებული სოციალიზმი. იგი ჯერ
კიდევ ასაშენებელია. ჩვენ მივიღეთ სისხლით მორ-
წყული, აოხრებული მიწა და მასზე უნდა ვაშენოთ
ჩვენი ბედნიერება. შენება-კი ის როდია, რაც ნგრე-
ვაა. ის ახალგაზრდა, რომელიც ამბობდა: მომეცით
თოფი, წავალ და ამოვულეტ მტრებსო, წინადადე-
ბაზე: ხომ არ მოისურვებთ ქარხანაში წასვლას და იქ
მანქანათმშენებლობასო, —უპასუხებდა: მე ეგ საქმე

არ შემისწავლია; სროლა შემიძლია, მანქანების შეკეთება კი არაო. ჩვენ თანამოქალაქეთა დიდ უძრავლესობას და მათ რიცხვში ახალგაზრდა თანამოქალაქეთაც, არ შეუსწავლიათ აღმშენებლობის საქმე, ამიტომ იძულებულნი ვართ, მივცეთ მათ მოსაწყენი შავი სამუშაო, ან და ვაიძულოთ ისწავლონ მეტად ცუდ პირობებში. აი სწორედ ეს უტეხთ მათ გულს.

ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ მათ უთხარით: საჭიროა ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ეს კი ნიშნავს — მოვიწვიოთ ბურუუაზია იმ ნანგრევში, რომლის აძლევება-ამოშენება ჩვენ არ შეგვიძლია. არ შეგვიძლია ერთბაშათ მოვაწყოთ სახელმწიფო ვაჭრობა, საჭიროა მოვიწვიოთ კერძო ვაჭრები. არ შეგვიძლია ერთბაშათ ავამუშაოთ ყველა წვრილი და საშუალო ფაბრიკა, საჭიროა მათი იჯარით ვაცემა.

რატომ ჰკიდებს ხელს ვაჭარი ამ სამუშაოს? მხოლოდ იმიტომ, რომ მოგება ნახოს. ხოლო რა კი ვაჭარი მოგებას მიიღებს, სურს ეს მოგება ხარჯოს თავისი გემოვნებისა და მოთხოვნილების მიხედვით. მაშასადამე, მას უნდა ჰქონდეს ფუფუნების საგნები — ისე კერძო ვაჭარი ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ ცოტათ თუ ბევრათ გაუმჯობესებული ცხოვრება ჩვენს კომუნისტურს ახალგაზრდობას, რომელიც სისხლს ღვრიდა რევოლიუციისთვის. მან უნდა დაიცადოს.

სპეცები. ჩვენ უაღრესათ გვესაჭიროებიან სპეცები. რათა სპეცი კმაყოფილი იყოს თავისი მდგომარეობით, მას, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, უნდა შევუქმნათ ამხანაგური ატმოსფერა მუშაობისთვის და დავაკმაყოფილოთ ხელფსით ისე, როგორც ზას ბურუუჯია აკმაყოფილებს. უნდა მივცეთ მეტი საკვები, უნდა მოვიჩვიოთ, შევუქმნათ ცხოვრების ცოტათ თუ ბევრათ რიგიანი პირობები, თორემ ადგება და ინგლისში წავა და არ მოისურვებს ჩვენთან მუშაობას. ჩვენს საკუთარ კომუნისტი, რომელიც სიხლს ღვრიდა, ასე ვერ დავაკმაყოფილებთ. ამისათვის კომუნისტი გვეუბნება: თქვენ სპეცებს ანებივრებთ, მაშ რისთვის დავლვარეთ სისხლიო? მას გული უტყვდება. აქედან წარმოსდგება მისი გაბოროტება. აქტიური, მაგრამ თავშეუკავებელი ბუნების პატრონი არყის შემწეობით იწყებს აურზაურს, ხოლო პასიური ბუნების პატრონს იმავე არყის გახმარებით სევდა იპყრობს.

საუკეთესო მაჩვენებელს იმისას, თუ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ჩვენმა ახალგაზრდობამ როგორ ვერ მოახერხა ყოფა-ცხოვრების მიერ წამოყენებული თავისი ამოცანების გადაჭრა, წარმოადგენს ეგრედ წოდებული „ესენინობა“.

ვინ იყო ესენინი? ნიჭიერი მწერალი, გლეხური პოეტი. მთელი მისი ბედი ხელის გულივით ნათელია სოციოლოგიურათ, ასე რომ მისი გამოხატვა-

განსაზღვრა ორიოდე ფორმულით შეიძლება. მისი ცხოვრება და სიკვდილი კი მოულოდნელი აღმოჩნდა, რაც ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დავადებას ადასტურებს.

გავიხსენოთ ესენინის ბიოგრაფია. ახალგაზრდა გლეხი ესენინი (რა თქმა უნდა, იგი სავსებით გლეხი არ ყოფილა; როცა გლეხურათ გამოწყობილი მოვიდა — ეს მასკარადი იყო; ესენინმა დაამთავრა სამასწავლებლო სემინარია და, მაშასადამე, გლეხი ინტელიგენტი იყო) მოხვდა აქ რასპუტინის დროს, როცა გლეხური სუნი სასახლეშიაც სასიამოვნო იყო. ესენინი იცნობდა რასპუტინს და სასახლესაც, მას იქ პატიუობდენ ხოლმე. მთელი თავისი ნიჭის სიახლით სწერდა ის გლეხურ ლექსებს, საკმეველით და ეკლესიური სუნით გაუღენთილ საგალობლებს. ეს იყო პირველი ესენინი, გულწრფელი, მაგრამ დაზიანებული, დაზიანებული ეკლესიით და სხვა ასეთებით.

როცა ესენინი ქალაქში ჩამოვიდა, მას ხელით ტარება დაუწყეს — აი შეხედეთ, რა გვაჩუქა სოფელმაო.

რა დაინახა ესენინმა ქალაქში? დაინახა შრომა, მეცნიერება, რევოლიუცია? არა. მან დაინახა სამიკრონოების ქალაქი. მას მაგრა ჩასჭიდა ხელი ფუტურისტულ-იმმაუინისტურმა ინტელიგენციამ, სამიკრონოების ბოგებამ. ამ ინტელიგენციამ, ამ ბოგებამ

იგი აბრად გამოიყენა. და იმავე დროს შეასწავლა
მას კოკაინის სუნთქვა, არყის სმა, გარყვნილება.

დაიწყო რევოლიუცია. პირველ ხანს რევოლიუ-
ციამ მოიტანა რაღაც წარმოუდგენელი გრგვინვა.

ესენინმა იგრძნო, რომ სადღაც რაღაც იმსხვრევა,
სცვივა მინა, ქვა, რკინა. რისთვის? ეშმაკმა • უწყის,

რისთვის! მაგრამ სამიკიტნო მაინც გადარჩა, თუმცა
გვერდზე გადაიხარა, და სამიკიტნოში დარჩა ესე-
ნინი. აქედან დაიწყო მესამე ხანა, როცა ის ჩაფიქ-
რდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ რევოლიუ-
ციის გრგვინვამ ყურები გამოუჭედა. მერე იმიტომ,
რომ ის მეტად შეაწუხა კოკაინმა, არაუმა, გარყვნი-
ლებამ, რომელნიც ანალგურებდენ მის სხეულს,
ნთქავდენ მის სულსა და ნიჭს. მაშინ ესენინმა გაი-
წია ახალი ცხოვრებისაკენ, რევოლიუციისაკენ, და
ერთ შესანიშნავ ლექსში დასწერა: „მსურს შარვალ
აწეული დავედევნო კომკავშირელსო“. აი რა უნ-
დოდა მაშინ ესენინს: ყველაფრის შინებება და თა-
ვის გადასარჩენად კომკავშირელებთან გაქცევა. ის
ყველას მიმართავდა. მომმართავდა მეც და ითხოვ-
და: მიშველეთ, ვიღუპები ამ ხულიგნობაში, ამ ნერ-
ვების აშლილობაში, რომელსაც კოკაინი სწყურია—
გამომიწოდეთ ხელიო.

ვგზავნიდით სანატორიუმებში, ვცდილობდით
დავხმარებოდით, ვცდილობდით მოგვეჩვინა, დაგვეა-
ხლოვებინა. ისიც ჩაუჯდებოდა ხოლმე მარქსის ტო-

შებს და გულსაკლავი გაუგებრობით კითხულობდა ყველაფერს. ცდილობდა ალლო აელო საბჭოთა საზოგადოებრივობისთვის, ზოგჯერ სწერდა რიგიან ლექსებსაც, მაგრამ მეტ წილათ ცივს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რევოლიუციის განცდა, ამ უღილესი საქმის გაგება და შეყვარება არც ისე აღვილია იმ აღამიანისთვის, რომელიც არ დაბადებული მის ცეცხლში, მეორეც იმიტომ, რომ ძალ-ლონე შედუნებული ჰქონდა.

ესენინი ამბობდა: რა გინდათ ჩემვან, ხელები მიკანკალებს; კბილები მიკაწკაწებს და მხოლოდ ერთზე ვფიქრობ: უნდა კვლავ დავლიო, რომ წერიგში მოვიდეო.

აი რა მდგომარეობაში იყო ეს აღამიანი.

და, როცა დაინახა, რომ ძალ-ლონე უქრება, რომ საკუთარი საფლავის ძეკლად ხდება, როცა დაინახა, რომ არ ძალუშს ახალ ცხოვრებაში ჰპოვოს საკუთარი ახალი ცხოვრება, რომ თვით გამოშიგნა ოდეს-ლაც მოჩუქრებე, ეხლა-კი დაცარიელებული და ხულიგნობაში ჩაფლული თავისი სიცოცხლე, გადასწყვიტა—უმჯობესია გამოესალმოს წუთი-სოფელს, ვიდრე განაგრძოს სევდიანი, დაჩაჩანაკებული ცხოვრება.

რა არის ეს? ეს არის დიადი გაკვეთილი ჩვენი ახალგაზრდობისთვის. ეს გაკვეთილი გვიჩვენებს, რომ ისეთი აღამიანიც კი, როგორიც ესენინია, რო-

ცა ის ხულიგნობასა და სასოწარკვეთილებას ეძლევა, თვითონ უდებს ბოროს თავის თავს, თვითონ იმზადებს უდროოთ მარყუშს.

როგორ შეხვდა ამას ახალგაზრდობის ნაწილი? გმირიაო, გაიძახოდენ; ესენინის სიკვდილი — საყვედურია საბჭოთა სინამდვილისათვის, იგი გვიჩვენებს, რომ ნიჭიერი ხალხიც კი თვითმკვლელობით ათავებსო. თუ მე გუშინ ვინმეს ცხვირ-პირი ჩაულეწე ან თუ მთვრალი ვარ და არ ვიცი, სად წავიდე, ჩავდივარ ყოველსავე ამას იმიტომ, რომ მე ნიჭიერი ვარ, იმიტომ, რომ მე არჩეული ვარ, იმიტომ, რომ მე ესენინელი ვარ, ხოლო თუ მარყუშში თავი გავყავი — მაშინ მუხლი მოიდრიკეთ ჩემს წინაშე! აი როგორ შეხვდა ამას ახალგაზრდობის ერთი ნაწილი.

იმის მაგიერ, რომ ეთქვათ: ნიჭიერმა ადამიანმა თავი დაიღუპა, რადგან კოკაინისა და არყის წყალობით, ხულიგნობითა და სევდით შეპყრობილმა, ვერ ჰპოვა რევოლიუციის გზებიო, დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენი რევოლიუციონური დროც კი ამართლებს ოვითმკვლელობას — დახეთ, როგორ მოიქცა ისეთი ნიჭიერი ადამიანი, როგორიც ესენინი იყოთ. ესენინობის ასეთმა ყალბმა გაგებამ გვიჩვენა ახალგაზრდობის ზოგი ნაწილის დაავადებული განწყობილება.

უნდა ვთქვა, რომ სულიერად დაცემას მარტო ახალგაზრდობას ვერ ჩაუთვლით დანაშაულად. მას

განიცდიდენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ
მოზრდილებიც, არა მარტო შეუგნებელნი, ნახევრად
შეგნებულნი; მცირედათ შეგნებულნი, არამედ ძა-
ლიან შეგნებული ადამიანებიც, თვით კომუნისტური
პარტიის ზოგიერთი ბელადებიც.

შარშან, როცა კრიზისი დადგა, როცა ჩვენი
რევოლუციონური წარმატების, გლეხობასთან ჩვენი
კავშირის, ჩვენი საქონლის გაცვლა·გამოცვლის სა-
ფუძველი, ბაზა რამდენადმე შერყეული აღმოჩნდა,
მრავალი კნობილი კომუნისტი ეჭვის გზაზე შედგა:
საღ მიგვიყვანდა ეს ეჭვები, განცხადებანი, იმაზე, რომ
ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია სოციალიზმის შენე-
ბა, თუ ევროპის პროლეტარიატმა არ გვიხსნაო,
განცხადებანი, რომ კულაკი, რომელიც თანდან ფეხს
იმაგრებს, გასწყვეტს ჩვენს კავშირს გლეხობასთან
და გამოიწვევს სამოქალაქო ობსო, რომ თვით პარ-
ტია კულაკური სტიქიის გავლენით ერთგვარ გარდა-
კმინას განიცდისო,—საღამდე შეეძლო მიეყვანა ამას
ჩვენი ნერვიული, მჯრძნობიარე ახალგაზრდობა, რო-
მელსაც არ ძალუდს ყველა საკითხში ნათლად გაერ-
კვეს?

უფრო შეგნებული ნაწილი ამან იჭვიანობამდე
მიიყვანა. დაიწყეს ლაპარაკი: იქნებ მართლა ყალ-
ბი გზით მივდიოდეთ, იქნებ საჭირო იყოს ცენ-
ტრალური კომიტეტის პერსონალურათ შეცვლა,
მთელი მისი წაზის, პოზიციების გადასინჯვა? იქნებ

ბა ტყეში გზა აგვერია, იქნებ ჭაობში ჩავთვლეთ და
ვიღუპებით? ეს განწყობილება მოედო უფრო ფარ-
თო წრეებსაც. მაგრამ იქ ეს ნათლათ ვერ ჰქონდათ
შეგნებული, იქ აის ჩვენი ბელადების თვალსაზრისს
არ უკავშირებდენ, იქ უბრალოთ ამბობდენ: მგონი რე-
ვოლიუცია ვერ გამოვიდა, მგონი მან გამარჯვებამდე
ვერ მიგვიყვანა, დავიბენით, დასავლეთში მხარს
არავინ გვიჭერს, ჩვენ კი ძვევით მივექანებითო.
ასეთ განწყობილებას, ასეთნაირ შეგნებას არ შეეძლო
არ შეერყია, არ მოედუნებია ისინი, ვინც უამრავი
მსხვერპლი-გაილო რევოლიუციისთვას, არ შეეძლო
არ მიეყვანა ისინი წინააღმდეგობამდე, სეგდამდე.
მას შეეძლო და უნდა მიეყვანა კიდეც ისინი აქამდე.

მაგრამ ამ ავადმყოფური მოვლენის, ამ სულიე-
რი დაცემის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ გვყავს
უუდიდესი მოკავშირე, რომელიც სასიკვდილო ლახ-
ვარს სცემს ახალგაზრდობის იჭვიანობასა და სასო-
წარკვეთილებას. ეს მოკავშირეა თვით ჩვენი პარ-
ტიის განწყობილება, რომელიც იცავს და აჯანსა-
ლებს ჩვენს საზოგადოებრივობას ამ უარყოფითი მოვ-
ლენებისაგან.

მე-XV პარტკონფერენციამ დაამტკიცა, რომ პა-
რტია მთელი თავისი მილიონიანი მასით, თითო-
ოროლას გამოკლებით, დაადგა მტკიცე აზრს, რომ
ის აუცილებლათ გაიმარჯვებს, რომ ჩვენ მართლაც
ვა შენებთ სოციალიზმს ყოველივე ეჭვა მთლათ გა-

ქარწყლებულ იქნა.. და ეხლა, როცა ვსძლიერ ოპო-
ზიციას, როცა დავძლიერ კრიზისი, როცა წელს
ერთი მილიარდი ორმოცდა ათი მილიონი მანეთი
ახალ შშენებლობისთვის გადავდეთ, როცა ძველი
ფაბრიკა-ქარხნების აღდგენის ნაცვლად ახლებს ვა-
შენებთ, როცა მრეწველობაში 21% -ით მივიწევთ
წინ და ეს მაშინ, როცა ამერიკის წარმატება მის-
თვის მეტად ხელსაყრელ პირობებში 6 პროც.-ით
გამოიხატებოდა,— ეხლა, ვამბობთ, ყველასთვის ცხა-
დია, რომ ჩვენ კარგათ ვართ შეიარაღებულნი და
შეგვიძლია ვთქვათ: დეე, ისინი, ვინც ხელს გვიშ-
ლიან, მოწოდებულ იქნენ წესრიგისაკენ. დაუშვებე-
ლია ხელის შეშლა იმ დროს, როცა ჩვენ ამომავალი
მზის სხივებთან ერთად ვაშენებთ ჩვენს ბეღნიერე-
ბას.

სევდით შეპყრობილთ მხარი უნდა დავუჭიროთ.
დეე, მათ ვაახილონ მხოლოდ თვალები და დაინა-
ხავენ, რომ ჩვენ საუცხოვო მდგომარეობაში ვიმყო-
ფებით, რომ ვამარჯვება უზრუნველყოფილია. ამის
შეგნებაშია ჩვენი უდიდესი ძალა, რომელიც ჩვენ
ვიგრძენით კონფერენციაზე ამ რამდენიმე თვის
წინათ.

რა მეთოდები და ლონისძიებებია საჭირო ჩვენი
ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების დამახინჯებათა
წინააღმდეგ საბრძოლველად?

შეიძლება დასახელებულ იქნეს სამი ძირითადი
ლონისძიება. პირველია ჩვენი ახალგაზრდობის პო-

ლიტიკური განათლება. ამ უამად მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისოვის (ეს ეხება ახალგაზრდებსაც და მოზრდილებსაც) დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენში არ იყოს არც ერთი მიურუებული კუთხის მცხოვრები, არ იყოს ისეთი გლეხი, რომელსაც არ მისწვდეს ჩვენი პროპაგანდა სოციალიზმის შენების შესახებ და რომელიც ვერ ერკვეოდეს ჩვენს გზებში. ხოლო ახალგაზრდობაში უნდა გაიშალოს ასეთი შინაარსის უდიდესი აგიტაცია. უმუშევართ და იმათ, ვისაც ცუდი სამუშაო აქვთ, უსწავლელთ და იმათ, ვისაც სწავლა უჭირთ უნდა ავტესნათ, რომ ჩვენ ეხლა გარდამავალ ხანაში ვიმყოფებით, რომ ისინი მსხვერპლნი არიან ნაწილობრივი მოუწყობლობის, რომ მასა მთლიანათ წინ მიღის და მიღის იქითკენ, რომ გადალახოს ის ცუდი პირობები, რომელნიც მათ ავიწროვებენ. ამისი გაგება დაიხსნის მათ უბედურებისაგან.

მეორე ლონისძიებაა საერთო კულტურული ამაღლება. ახალგაზრდობას უნდა მიეცეს კულტურული გასართობი. ამისათვის საჭიროა: თეატრი ვაქციოთ იდეურ თეატრად და დავუახლოვოთ იგი მასას, ახალგაზრდობას მივაწოდოთ მხატვრული და შინაარსიანი ფილმები, კლუბი გავხადოთ ხელმისაწვდომი და მიმზიდველი ახალგაზრდობისათვის, მივცეთ უფრო ფართო ხასიათი ფიზკულტურას, ამასთან არ უნდა შეუშინდეთ, თუ იგი სპორტიულ

და ზოგჯერ „რეკორდსმენულ“ ხასიათს მიიღებს, შევაძლებიოთ ახალგაზრდობას მოაწყონ ექსკურსიები, ექსპედიციები, გამოავლინოს განსაკუთრებული ენერგია იმ უთვალავი სიმდიდრის გადამუშავებაში, რომელიც ჯერ კიდევ გამოუკვლეველი ძევს ჩვენი სამშობლოს წიაღში. ეს მეორე მეთოდი უკვე აღნიშნა სახკომისაბჭომ თავის დეკრეტში ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ.

მესამე მეთოდს წარმოადგენს თვით ახალგაზრდობის შორის ურთიერთისადმი მზრუნველობითი კანტროლის, ურთიერთისადმი მხარის დაჭერის გაძლიერება. ხშირათ შევხვედრივარ ძალიან კარგ კომკავშირელებს, რომელთაც უფრვამო: აი, ესა და ეს სასოწარკვეთილებით არის მოცული, არაუს სვამს; ეწმაკსაც წაულია მისი თავი! თუ ბოლოს და ბოლოს ამას თვითმექვლეობა მოჰყვება, რა მერე? Так тяжкий млат, дробя стекло, кует булат. შეუგუებელნი იღუპებიანო.—სიბრძნეც ასეთი უნდა! აი, კიდევ მეორე: ხელი მიჰყო ხულიგნობას, გუშინ იჩხუბა, დღეს იჩხუბა. „შორს ფარიდან ქეციანი ცხვარი!“ განა ასე უნდა მოჰყრობა? არავითარ შემთხვევაში. ხშირად სასოწარკვეთილებას ეძლევა არა ცუდი ახალგაზრდა, არამედ ის, ვინც უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებს ცხოვრებას. თავხედობს, ალიაქოთს მისდევს ის, რომელსაც მეტი ენერგია აქვს. შეხვდებით მშვიდ და წყნარ კომკავში-

რელს პორტფელით, რომელიც არც სასოწარკვეთი-
ლებას ეძლევა, არც თავხედობს, მაგრამ ხშირად
ასეთი კომქავშირელი „ობივატელიზ“, რომელსაც
თუ გინდ კეტი ზღრუზო თავში, მაინც ხმას ვერ
ამოაღებინებ—მისთვის ყველაფერი უმნიშვნელოა:
რაკი პორტფელი იღლიაში აქვს, ყველაფრით კმა-
ყოფილია. გამგონეა, დისკიპლინის მქონეა, მაგრამ
ხშირად არავითარი სიკეთე მისგან არ გამოვა. ცო-
ცხალი სული პროტესტს გამოსთვამს—და ეს დიდი
რამეა. პროტესტი გამოიხატება ხშირად. იმაში, რომ
ადამიანი სასოწარკვეთილებას ეძლევა, რადგან ირ-
გვლივ ცუდს ხედავს, ან იმაში, რომ უხამსობას, თავ-
ხედობას ჩაიდენს, რადგან უკმაყოფილოა. ზოგჯერ
ეს თავხედობა ენერგიის მარაგიანობას მოწმობს.
ასეთ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ. ხშირად, როცა
ვიწრო ადგილას, ძნელად გასასვლელ ბილიკზე ახალ-
გაზრდას დაწმარების ხელს გაუწვდი, შემდეგ იგი
უკეთ და უკეთ იწყებს სიარულს და, ბოლოს, საუ-
კეთესო ადამიანად გადაიჭცევა ჯგუფში. ნატორპი,
ცნობილი სოც.-დემოკრატი, პედაგოგი, ჯერ კიდევ
ომამდე ამბობდა, რომ ქალაქი ღუპავს უამრავ ახალ-
გაზრდას, მოზარდს, ხელს უწყობს მათ შორის
გარყვნილების, ვენერიული დაავადების, ბოროტმოქ-
შედების გავრცელებას და სხვ. „და,—ამბობდა ნა-
ტორპი,—ამ უბედურებიდან თავის დასახწევად ერ-
თად-ერთი გზაა: ორგანიზაცია“ როცა ეკითხე-

ბოდენ — რა ორგანიზაციამ, იგი უპასუხებდა: სო-
ციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ვინაიდან ის
ახალგაზრდობას იდეალს აძლევს და კორპორაციუ-
ლი პატივისცემის სულს ჰქმნისო.

თუ ნატროპი ძველ, ომამდე არსებულ სოციალ-
დემოკრატიისაგან მოელოდა ხსნას, რა უნდა ვთქვათ
ჩვენ კომკავშირზე, რომელიც თვით მსოფლიოს სამ-
ჭედლოს ქურაში იმყოფება, იმ ქურაში, რომელიც
მსოფლიო ისტორიას ქმნის.

ჩვენს კომკავშირს წილად ხვდა მეტათ რთული
და პასუხსაგები ამოცანა. ჩვენი ღრო რევოლუციო-
ნური ხანაა, მაგრამ ამ რევოლუციონურ ხანაში
ჩვენ ამჟამად საქმიან დღეებს განვიცდით. და კომ-
კავშირის ამოცანაა შეაგნებიოს მშრომელ ახალ-
გაზრდობას სულის სიმტკიცის და სიმხნევის შენარ-
ჩუნების უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ამ დღეებ-
ში, რომლებიც, სამოქალაქო ომის დღეებთან შედა-
რებით, წარმოადგენენ განუწყვეტელი შრომის, ოფ-
ლის ღვრის, მაგრამ ამავე ღროს ახალი ცხოვრების
დიადი და გმირული მშენებლობის დღეებს.

დღევანდელ ვითარებაში კომკავშირს, თუ კი იგი
სათანადო სიმაღლეზე იდგომება, შეუძლია გაიყო-
ლიოს. ჩამორჩენილებიც.

აი, როგორ შეგვიძლია და როგორ უნდა გადავ-
ჭრათ ჩვენი ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების და-
ხლართული გადახრანი.

ახალგაზრდობა და „შიქა ჭულის“ თეორია

მე ერთხელ კიდევ უნდა დაუბრუნდე სქესობრივ საკითხს, რადგან ზემოთ ამ საკითხს შევეხე მხოლოდ ოჯახის თვალსაზრისით, ეხლა კი უნდა შევეხო ახალგაზრდობის თვალსაზრისით.

ყველას კარგათ გვესმის, რომ ახალგაზრდებს ვერ ვეტყვით: შეუღლდით, მოწყეთ წყვილად ოჯახი, იყოლიეთ შვილები, დაზარდეთ ისინი მამისა და დედის ზრუნვით და შრომით. ისინი ამაზე გვეტყვიან: რაო, ხომ არ შეშლილხართ? და მართლაც, 16-17-20 წლის ასაკიანისთვის ადრეა ამის დაწყება. ეს უფრო მეტი ხნიანის საქმეა. მაგრამ ამავე დროს სქესობრივი ბოთხოვნილება,—გვეუბნებუან ისინი,— მოსვენებას არ გვაძლევს, ხელს გვიშლის მუშაობაში, სწავლაში, გვაიძულებს ჩავიდინოთ ისეთი საქციელი, რომელსაც შემდეგ მოსდევს უბედურება, ტრაგედია, რომლის დროსაც იღუპებიან ახალგაზრდა ადამიანები, უფრო ხშირად კი ახალგაზრდა ქალიშვილები. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთო, გვეუბნებიან ისინი.

თვით ახალგაზრდობამ ამაზე სრულიად უმართებულო და მახინჯი პასუხი გამონახა.

მე არ მინდა ამით ვთქვა, თითქოს ეს პასუხი მთელი ახალგაზრდობის მიერ იყოს მოფიქრებული ან მთელი ახალგაზრდობა დასდგომოდეს ამ გზას. ვფიქრობ, მართალი იყო ამს. სემაშვილ, როცა ამ-

ბობდა: ჩვენი ახალგაზრდობა წნეობრივათ უფრო
მაღლა სდგას, ვიდრე ბურუუაზიული ახალგაზრდო-
ბაო. ამას მრავალი სხვა მეთვალყურეცად ასტურებს.

მაგრამ რაში მდგომარეობს ამ საკითხის გულ-
უბრყვილოთ გადაწყვეტა?

ამ საკითხის გულუბრყვილო, ნილილისტური,
ცრუ-მეცნიერული გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში,
რომ ახალგაზრდობა ნაკლებათ საწინააღმდევო ხა-
ზით წავიდა. მან განაცხადა: ეს სრულიად უმნიშვნე-
ლო საქმეა და არა ლირს მასზე დიდი თავის მტვრე-
ვა. ეს სწორეთ იგივე ყბადალებული ჭიქა წყალია:
თუ ძალზე აპილპილდა სქესობრივი მოთხოვნილება,
საჭიროა მისი დაკმაყოფილება. ლაპარაკი სიყვარულ-
ზე, შეულლებაზე—ბურუუაზიული ზღაპრებია. ჭკუა
უნდა ვისწავლოთ ბუნებისაგან, ცხოველმყოფელ სი-
ნამდვილისაგან. მან არ იცის არც რომანები, არც
გართულებაო.

ახალგაზრდობა ამბობს: სქესი, სქესობრივი და-
კმაყოფილება სულ უბრალო, უმნიშვნელო ამბავია,
საჭიროა გადავეჩვით ამაზე ფიქრსო. ხოლო თუ
ჭალიშვილს ალექსანდოდა ეჭვი, თუ იგი იტყოდა:
შეიძლება ეს ასეც იყოს, შეიძლება ეს მეცნიერულიც
იყოს, მაგრამ მაინც როგორ მოვიქცე მაშინ, თუ
ბავშვი მეყოლა და შენ კი მიმატოვებ, რა უნდა ვქნა
მაშინ? როგორ „მეშჩანურად“ მსჯელობს!—უპასუ-
ხებდა „ის“, — როგორი „მეშჩანური“ წინდახედულე-

ბა გაქვს! რამდენათ ხარ გაულენთილი ბურჯუაზიული
ცრუმსჯელობით! შენ ამხანაგად არ ჩაითვლებიო,
—არწმუნებდა ის, და დამფრთხალი ქალწული ფიქ-
რობდა, რომ ის მარქსისტულათ, ლენინურათ იქ-
ცეოდა, თუ არავის უარს არ ეუბნებოდა. ამას კი
მოსდევდა საშინელი უბედურება და ახალგაზრდა
ქალების ნამდვილი დალუპვა.

კომკავშირის ბეჭდვით ორგანოში დაიბეჭდა კომ-
კავშირელის წერილი. მან თავის ორგანიზაციისთვის
დასწერა ცირკულიარი, რომელიც სწყვეტდა ყველა
საკითხს. სხვათა შორის, ცირკულიარის მე-4 პარა-
გრაფი ეხებოდა სიყვარულს. ამ პარაგრაფში ნათქ-
ვამი იყო:

„კომკავშირის ზოგიერთ წევრებზე გავლენა აქვს
ლექსებს და სხვა აბდა-უბდას, რომელსაც თხზავენ
პოეტები და სხვა მჯღაბნელები იმის შესახებ, რომ
სიყვარული პირადი ცხოვრების შემამკობელია და
არა შიშველი გამრავლება, რომ იგი შერჩეული ყვა-
ვილების თაიგულია და კიდევ სხვა რაღაცებს. ნამდვი-
ლად კი სიყვარული არ არსებობს, არსებობს მხო-
ლოდ ბუნების ფიზიოლოგიური გამომჟღავნება, და
„ხბოსებური სინაზე“ აქ არაფერს შეუშია.“

ამ კომკავშირელის სიტყვებში მკვეთრათ არის
გამოხატული „სიბრძნე“ მრავალი ჩვენი კომკავში-
რელისა ახლო წარსულიდან; შეიძლება ზოგიერთები
ეხლაც ფიქრობდენ ასე. საჭიროა შევედავოთ ამ

კომკავშირელს. რატომ ფიქრობს ის, რომ ხბოს შეუძლია სინაზე და პატარა კომკავშირელს კი არა? თუ მას სურს ბუნებისაგან ისწავლოს, მაშინ რაღ იხსენიებს „ხბოსებურ სინაზეს“? განა ბურუუაზიაშ შეასწავლა ხბოს სინაზე? ცხადია, არა. ის ეხება „შიშველ გამრავლებას“. ის რომ გაუნათლებელი კომკავშირელი არ იყოს (არ ვუსაყველურებ გაუნათლებლობას, ვუსაყველურებ მხოლოდ იმას, რომ თვითონ გაუნათლებელია და სხვას კი ჭიუას ასწავლის), ის რომ ბუნებათმეცნიერებას იცნობდეს, მაშინ ეცოდინებოდა, რომ თუ რამ მოიპოვება არა „შიშველი“, არამედ „შემოსილი“, ეს სწორედ გამრავლებაა, ვინაიდან ყვავილები ქვეყნად, რომელნიც დედამიწას ამშვენებენ და სურნელებას აფრქვევენ, სწორედ გამრავლებისათვის არიან შემკობილნი ყველა ამ თვისებათ. ფრინველთა ნაირ-ნაირ გალობას, რომლითაც ისინი ხეივნებსა და ბალებს აყრუებენ, კავშირი აქვს გამრავლების აქტიან: ცხოველთა ულამაზესი ფორმები, მათი ულამაზესი მოძრაობანი ამავე გამრავლებასთან არიან დაკავშირებულნი — აი, ნამდვილად როგორ არის საქმე ვინც ცხოველების სიყვარულს დაუკვირდება, ადვილად დარწმუნდება ამაში.

რატომ ხდება ასე? ნუ თუ ბუნებაც ბურუუაზიული პოეტია? სულელია ბუნება თუ უალრესად ჭიკვიანი? სრულიადაც არ არსებობს განზრახ მოქმედი

ბუნება. არის მხოლოდ ნივთთა ბუნებრივი მსვლელობა და სხვა არაფერი. რას გვეუბნება იგი? გადარჩენ მხოლოდ ის ჯიშები, რომელთაც სქესობრივი აქტი, მათი სახეობის მთელი მომავლის ეს საფუძველი, შემოსეს უაღრესი სიხარულით, უაღრესი ცხოველმყოფელობით, ძალთა უაღრესი დაჭიმვით, რომელთაც ეს აქტი თავიანთი სიცოცხლის მთავარ ძარღვად გადააქციეს. ვიცით ფაქტები, როცა რუხი ფრინველი ან უფერული თევზი შეულლების დროსთვის იმოსება წაირნაირათ, თითქმ ძვირფასი ქვებით მოირთოო, ხოლო რაღვან ეს შემოსვა საფრთხეს უმზადებს მტაცებელი მტრისაგან, შეულლების შემდეგ თვით ბუნება უბრუნებს წინანდელ სახეს. რას გვეუბნება ეს? იმას, რომ სიყვარული არის სიცოცხლის უმაღლესი გამოხატულება, ვინაიდან მხოლოდ ის ჯიშები არიან ღონიერნი და ძლიერნი, რომელთაც სიყვარული უაღრესად გამოხატეს, რომელნიც არ ზოგავენ პირად სიცოცხლეს ჩამომავლობის უზრუნველსაყოფად.

ასე იყო აღამიანთა შორისაც, ამიტომ გაალამაზეს ხალხებმა სიყვარული საქორწინო სიმღერებით, საქორწინო ცეკვა-თამაშით და მოკაზმულობით. თითქმის ყველა ხელოვნება სიყვარულის ირგვლივ ტრიალებს. კაცობრიობამ უზრუნველჲყო. თავისი სიცოცხლე, მიუხედავათ ათასი უბედურების, უდიდესი სილატაკის, უვიცობის, დავიღარაბის და სუ-

ნისა, რომელთაც ბუნება თავს ატეხდა მას. და ის ხალხი, რომელიც ჩვენი კომკავშირელივით იტყვის, რომ სიყვარული მხოლოდ შიშველი გამრავლებაა, განწირულია. მას არ მოეპოვება სასიცოცხლო ძალა. იგი მოხუცია, რომელსაც დაუკარგავს სიყვარულის ნამდვილი გრძნობა, მისი სიღიადე, მისი სილამაზე, მისი ძალოვნება. და ის მასწავლებელი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას აქეთკენ უჩვენებს გზას, რომელიც იტყვის, რომ ეს ნიღილისტური სიბრძნე მეცნიერულია, გამრყვნელია ახალგაზრდობის.

თუ სიყვარულს ასეთ უბრალო რამეთ ჩავთვლით, მაშინ, ერთის მხრით, გაჩნდება ასკეტიზმი, შეუსაბამო ათვალისწუნება სიყვარულისა, ხოლო მეორეს მხრით — ბევრს გაუელვებს. აზრი: რატომ არ უნდა წავიცელქოო. და იუარგება დამოკიდებულება სიყვარულთან, როგორც საღლესასწაულო აქტთან, როგორც უდიდესი მნიშვნელობის და არაჩვეულებრივი ალფროთოვანების მოვლენასთან.

მოვისმინოთ, რას ამბობდა ამის შესახებ ჩეინი დიადი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი, ვინაიდან მან ამის შესახებაც სთქვა და სთქვა ისე ნათლათ, რომ ახალს ვერაფერს მივუმატებთ. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ მის სიტყვებს და ამ სიტყვების მცირეოდენ განმარტებას.

„თუმცა მე ჩემი თავი ყველაზე ნაკლებად მიმაჩნაა გულჩახვეულ ასკეტად, — ამბობდა ლენინი, — მაგ

რამ ჩვენი ახალგაზრდობის და ზოგჯერ დიდების ეგრეთ წოდებული ახალი სქესობრივი დამოკიდებულება ხშირათ მეჩვენება წმინდა ბურუუაზიულ სქესობრივ დამოკიდებულებად, მეჩვენება კეთილ ბურუუაზიულ მეძავთა სახლის სხვა სახეობად“. ბურუუს, ჩვენს მიერ ათვალისწუნებულ ტიპს, ორნაირი დედაკაცი მიაჩნია: ერთი—ცოლი, მასი ოჯახის მონა, მეორე — მეძავი ქალი, რომელთანაც მან სქესობრივი უინი მოიკლა, და მას არ ედარდება, მისთვის სულ ერთია — რა მოუვა ქალს შემდეგ.

და როცა რომელიმე ჩვენი კომკავშირელი ანუ კომუნისტი ამბობს: იცოდეთ, მე ბურუუა არა ვარ, მე არ შეგიქმნით ბურუუაზიულ ოჯახს, მე ვიზიარებ ჭიქა წყლის თეორიასო, მაშინ ის ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომლის დროსაც იგი წმინდა ბურუუაზიულათ ეპყრობა ყველა ქალს, ეპყრობა ისე, როგორც მეძავ ქალს.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ ეს ბურუუაზიული თვალსაზრისია, წმინდა გარყვნილების თვალსაზრისიო. ამას საერთო არაფერი აქვს თავისუფალ სიყვარულთან, როგორც იგი გვესმის ჩვენ, კომუნისტებს. თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ ცნობილი თეორია: „კომუნისტურ საზოგადოებაში დაკმაყოფილება სქესობრივი ლტოლვის, სიყვარულის მოთხოვნილებისა ისევე აღვილი და უბრალო იქნება, რო-

გორც ჭიქა „წყლის დალევა“ ამ „ჭიქა წყლის“
თეორიამ მთლათ გადარია ჩვენი ახალგაზრდობა.
და მრავალი ვაჟისა და ქალისთვის იგი საბედისწე-
რო გახდა. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეს
მარქსისტული თეორია არისო. გმადლობთ ასეთი
მარქსიზმისთვის!.. მე კი „ჭიქა წყლის“ შესანიშნავი
თეორია ანტიმარქსისტულ, ანტისაზოგადოებრივ
თეორიად მიმაჩნია. სქესობრივ ურთიერთობაში
თავს იჩენს არა მარტო ბუნება, არამედ შემოსული
კულტურაც, მაღალია ის თუ დაბალი. ენგელსმა
თავის წიგნში „ოჯახისადა სახელმწიფოს წარმოშო-
ბა“ აღნიშნა: „საჭიროა, რომ სქესობრივი სიყვარუ-
ლი განვითარდეს და გასპეტაკდესო“.

მნიშვნელოვანია არა მარტო ბუნების მიერ მო-
ცემული. ჩვენ დავინახეთ, რომ ბუნების მიერ მოცე-
მული დიდათ თვალსაჩინოა, მაგრამ არა ნაკლებ
თვალსაჩინოა კულტურის მიერ მოცემულიც. კულ-
ტურამ ბევრი რამ შემატა სიყვარულის კულტს—
ამამაღლებელიც და დამამდაბლებელიც. ბურუუ-
ზიულმა კულტურამ სიყვარულის საკითხს დაურთო
ყიდვა გაყიდვა, ვაჭრულ ქონებრივი დამოკიდებულე-
ბა. ამაშია ბურუუზიული კულტურის საზიზლროება.

ლენინი იგონებს ენგელსის სიტყვებს, რომ სა-
ჭიროა განვითარდეს და განსპეტაკდეს სქესობრივი
სიყვარულიო. რას ნიშნავს „განვითარდეს“? იქნებ
იმას, რომ უფრო მეტად მივყოთ ხელი სქესობრივ

სიყვარულს? როგორც თქვენ თითონ ხედავთ, ლენინი გადაჭრით უარყოფს ამას. რას ნიშნავს „გასპეტაკდეს“? იქნებ იქას, რომ გარყვნილ ფრანგ ბურუუებისაგან გადმოვილოთ ყოველგვარი სქესობრივი სიმახინჯე? ამაზე ლაპარაკიც კი სირცხვილია.

ეს ნიშნავს იმას, რომ სიყვარული არ უნდა წარმოადგენდეს ყოველდღიურ მოვლენას, „ჭიქა წყალს“; იგი ამალლებულ უნდა იქნეს უალრესად, წარმოადგენდეს არა ჩვეულებრივად თვალსაჩინო რამეს. ასეთ სიყვარულს სთვლის ენგელსი განსპეტაკებულად, როცა ამაზე სწერს თავის წიგნში სახელმწიფოსადა ოჯახის შესახებ. როცა ვაჟი ამბობს: მე მხოლოთ ეს ქალი მიყვარს და სხვა არავინ, მასთან შემიძლია გამოვჭედო ბეღნიერება, მისი გულისათვის გავიღებ უდიდეს მსხვერპლს, მხოლოდ მასთან ვიქნები ბეღნიერიო; როცა ქალი ამბობს: მე ეს ვაჟი მიყვარს, ის არის ჩემ მიერ არჩეულიო,—მხოლოდ მაშინ იქნება სიყვარული მოკლებული ყოველდღიურობას, გარყვნილებას. ეს სიყვარული ძუნწია, მაგრამ სწორეთ ამით ხდება იგი საზეიმო და ღირსშესანიშნავი. ლენინი სწერს, მე აზრადაც არ მომივა ვიქადაგო ასკეტიზმიო; ის ამბობს: კომუნიზმა უნდა მოიტანოს არა ასკეტიზმი, არამედ ცხოველ-მყოფელობა და სიმხნევე, რომელიც სიყვარულით აღსავსე ცხოვრებად უნდა გამოიწვიოსთ. ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ კომუნიზმი წარმოუდგენე-

ლია სიყვარულით ალსავსე ცხოვრების გარეშე, რომელიც ჭეშმარიტ ცხოველმყოფელობას ქმნის. „მაგრამ,— ამბობს ლენინი,— ხშირად უმსგავს სიჭარბეს სქესობრივ ცხოვრებაში არ მოაქვს არავითარი ცხოველმყოფელობა და სიმხნევე, პირიქით, ამცირებს მათო“.

შემდეგ ლენინი გადადის დადებით რეცეპტზე. ის ამბობს, რომ ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება ეს ცხოველმყოფლობა და სიმხნევე,— ჯანსაღი სპორტი, გიმნასტიკა, ცურვა, ექსკურსიები, გამოკვლევები და სხვ., და ყველაფერი ეს, შეძლების დაგვარათ,— ერთად, ჯვეფობრივ.

რა პასუხი უნდა მივსცეთ ახალგაზრდობას მის კითხვაზე: როგორ მოაწყოს მან თავისი სქესობრივი ცხოვრება?

პირველი და აბსოლიუტურათ სწორი რეცეპტი თავდაჭერილობაა. სქესობრივი თავდაჭერილობა სრულიადაც არ არის მავნებელი ახალგაზრდისთვის. რაც უფრო გვიან შეუდგება ვაჟი ან ქალი სქესობრივ ცხოვრებას, მით უფრო სავსებით და ძლიერად მოემზადება ის საქორწინო ბეღნიერებისთვის, ჭეშმარიტი სიყვარულისთვის და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. მაგრამ ჩვენ პირმოთნენი არა ვართ. ჩვენ ვამბობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია მუცლის მოშლა, თანაც ვაფრთხილებთ, რომ ეს მავნებელია, საშიში, საბედისწე-

რო: მუცლის განშეორებით მოშლა თითქმის ყოველთვის დამღუპველია. ამიტომ სანამ გადასწყვეტდე მუცლის მოშლას, კარგათ მოიფიქრე და ასწონდასწონე. შეიძლება სხვა გზის გამოძებნაც. მაგრამ ყველაზე უკეთესია აღამიანმა ხელი მიჰყოს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დაეწაფოს შეცნიერებას, სპორტს და იცავოს, იცავოს და არჩიოს, ვინაიდან კარგი და ხანგრძლივი შეუღლება შესაძლებელია მხოლოდ მათ შორის, ვისაც ერთმანეთი უყვართ. ამიტომ არ უნდა უარვყოფდეთ შეყვარებულობას, გაარშიყებას, ეროტიული ელფერით შემოსილ ურთიერთობას ვაჟსა და ქალს შორის. აქ ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ირჩევენ ერთმანეთს, ირჩევენ ისე, რომ ხანგრძლივი ნაცნობობის შემდეგ გადასწყვიტონ ხანგრძლივი შეუღლება. მხოლოდ გადასწყვეტილება უნდა იყოს სერიოზული და შეძლების დაგვარათ აცილებულ უნდა იქნეს მუცლის მოშლა. აი ასეთმა სერიოზულმა, თავდაჭერილმა, მოფიქრებულმა, ლამაზმა სიყვარულმა უნდა შესცვალოს ჩვენში ბურუუაზიული გარყვნილება და „ნიღილისტური“ შეხედულება „შიშველ“ სქესობრივ მოთხოვნილებაზე.

რელიგია, მორალი, კანონი

ნება მიბოძეთ, დასასრულ, შევჩერდე სამ ღიღმვლენაზე, რომელთა გვერდის ავლა ყოფა-ცხოვნილებაზე.

რებაზე ლაპარაკის დროს ყოვლად შეუძლებელია, სახელდობრ: რელიგიაზე, მორალზე, კანონზე. სამივე ამ მოვლენას დიდი კავშირი აქვს ყოფა-ცხოვრების მშენებლობასთან.

რელიგია უარყოფითათ მოქმედებს ყოფა-ცხოვრების მშენებლობაზე. რელიგიის წარმოშობა და არსებობა დამკარებულია ადამიანის სისუსტეზე. ადამიანი, თავისი სისუსტის გამო, შეძრწუნებულია ბუნებისა და საზოგადოების წინაშე; მრავალი უბე-დურება, ტანჯვა-წვალება, მარცხი, რითაც ბუნება უმასპიძლდება, ხელს უწყობს ადამიანის შიშსა და ძრწოლას. აქედან—სტიქიურათ გამოხატული წარმოდგენა საიქიოზე, საღაც უკეთესი ცხოვრება უნდა იყოს, უზენეს სამართლიანობაზე, რომელიც გადალახავს ამ ქვეყნიურ სისაძაგლეს. და სააქაოს ტანჯულთ საიქიოს დაჯილდოვებს. ეს არის რელიგიის ძირითადი იდეა. რელიგია რომ ნააღრევათ წაერთვას ადამიანს, შეიძლება იგი სულ დაჩაჩანაკდეს ბუნების ძალთა წინაშე, რომელთა ღაძლევაც მას არ ძალუძს. წარმოიდგინეთ სამოცდა ათი წლის მოხუცი გლეხი დედაკაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მარხულობაში გაატარა და რომელიც ფიქრობს, რომ თავმდაბლობითა და სიმშვიდით დიდი საუნჯე დააგროვა ზეცაში. და როცა მიღის მასთან შვილის-შვილი, კომკავშირელი, და ეუბნება: ბებიავ, შენი ბანკი ზეცაში საიმედო არ არის, შენ დააგ

როვე საუნჯე, იქ კი არათერიაო, — გვინიათ მოხუცი
მაღლობას. ეტყვის ამისთვის? ამით ხომ ინგრევა
ყველაფერი, რითაც იგი ამდენ ხანს სცხვრობდა. ეს
რწმენა ჯერ კიდევ დარჩენილია თვით მშრომელ
მასებში. მაგრამ თუ ჩვენ ახალ ქვეყანასაც ნებას
მიესცემთ ინუგეშოს ამით თავი, უსაშინელეს დანა-
შაულს ჩავიდენთ, რადგან ჩვენ კი ვიცით, რომ ზეცა
მართლაც გაკოტრებულია, რომ „იმ ქვეყნად“ არა-
რაობაა. ჩვენ უს დანამდვილებით ვიცით.

ჩვენ ვიცით, რომ საიქიოზე იმედების დამყარება
ხელს უშლის ადამიანს საჯსებით ჩაებას ამ ქვეყნიუ-
რი ბეღნიერების მშენებლობაში. ამ ბეღნიერების,
შენება კი ძნელია. მტერი ბევრია და საჭიროა
მთელი ძალლონის მოკრება ამ ბეღნიერებას გამო-
საჭედად. აი რატომ ვიბრძვით რელიგიის წინააღმ-
დეგ, რატომ ვიცავთ ერთად — ერთ-სწორ მსოფლმხე-
დველობას, მებრძოლ მსოფლმხედველობას — მარქ-
სიზმს. ამიტომ იმდენად შევძლებთ ნამდვილი ახალი
ყოფა-ცხოვრების აშენებას, რამდენადაც ძირფესვია-
ნად ამოვაგდებთ ლვარძლს ჩვენი ჯეჯილიზან.

გამომდინარეობს აქედან, რომ ჩვენ უარვყოფთ
მორალს? ერთი წუთითაც არა.

ლენინიც გვეუბნებოდა: მორალს უარვყოფთ, რო-
გორც რელიგიურ მორალს. როგორც მეტაფიზიკურ
მორალს, მაგრამ ვცნობთ იმ წესებს, რომლების ას-
რულებასაც ავალებს ყოველ პიროვნებას. კაცობრიო-

ბის ინტერესი. ადამიანს აქვს უფლება ბეღნიერებაზე, აქვს უფლება მოაწყოს თავისი ცხოვრება, პირადი არსებობა, აქვს უფლება გამოიყვანოს თავისი თავი ძლიერ და ბრძენ პიროვნებად, შაგრამ ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი უფლება არ ეწინააღმდეგება სხვების უფლებას, კაცობრიობის საერთო უფლებას. ბურუჟაზიულ საზოგადოებაში თავისი განცხრომის დაცვა, არსებობის უფლების დაცვა ხდება სხვის, ძვლებზე სიარულით. ერთნი იტაცებენ მეორეთა უფლებებს. მხოლოდ სოციალისტური წყობილება შეჰქმნის პარმონიას პირად კეთილდღეობისაკენ მისწრაფებისადა საზოგადოებრივი ბშენებლობის შორის. ეს წყობილება ჯერ კიდევ არა გვაქვს. იგი უნდა მოვიპოვოთ, დავიპყროთ. და მხოლოდ ის არის ღირსი იწოდებოდეს ადამიანად, ვინც პროლეტარიატს დაეხმარება ამ გამარჯვების მოსაპოებლად.

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

დაგვრჩა უკანასკნელი საკითხი — ხელოვნების როლი ჩვენს მშენებლობაში.

ხელოვნება ორგვარ როლს ასრულებს. ერთის მხრით, ჰქმნის სასიხარულო ნივთებს ჩვენს ირგვლივ. ჰქმნის შენობებს, რომლებშიაც სასიამოვნოა ცხოვრება და შეკრება, ჰქმნის ტანთსაცმელს, ჭურჭლე-

ულს, შთელ მოწყობილობას; ამასთან ერთად, ჰქმნის
რა ქალაქებს, ბაღებს, არხებს, ხელს უწყობს დედა-
მიწის ზედაპირის გადაქმნას. ერთის სიტყვით, იპყ-
რობს კაცობრიობისათვის საცხოვრებელ მოწყობა-
ლებას და აძლევს მას ლრმა ადამიანურის და ულა-
მაზეს ფორმებს. ეს ერთი ამოცანაა ხელოვნების.
ცხადია, ყოფა-ცხოვრების მშენებლობაც ვერ აუხვევს
გვერდს ხელოვნებას. ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენდა
გასახარელად ყოველივე ის, რაც ადამიანს გარს
არტყია.

გარდა ამისა, ხელოვნებას იდეოლოგიური ამო-
ცანაც აქვს. მან ისე უნდა ჩამოაყალიბოს ჩვენი
გრძნობები, რომ შევძლოთ ჩვენი ამოცანების შე-
გრძნობა. პროლეტარიატს, რომელიც ახალი ქვეყნის
ცენტრს წარმოადგენს, სხვა გვარათ უყვარს და
სძულს, მას სხვა იმედები აქვს და სხვა განსაცდელი
ელობება, სხვა იდეალები ასულდგმულებენ.

ხელოვნება ყოველთვის ემსახურებოდა იმას, რომ
დახმარებოდა კლასს, რომლის შენაკვეთსაც ის ას-
რულებდა, მაღლა დაეყენებია თავისი თავი და დაე-
მცირებია სხვები, წამოეყენებია თავისი სიმართლე და
დაემტკიცებია მოწინააღმდეგის სიყალბე. ეს უნდა
პროლეტარიატსაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია,
რომ ძველი ხელოვნება სტყუოდა, ჩვენი ხელოვნება
კი სიმართლის მღალადებელი იქნება. აქედან გამო-
მდინარეობს მისი გიგანტური განვითარების შესა-

ძლებლობა, და ამაშია ხელოვნების როლის უდიდესი
მნიშვნელობა ჩვენი ყოფა-ცხოვრების მშენებლობაში.

ჩვენთვის ჯერ-ჯერობით მეტად ძნელია ახალი
ყოფა-ცხოვრების აქტიურათ შენება ისეთ ქვეყანაში,
სადაც ყველაფერი ინდივიდუალურია, სადაც გამე-
ფებულია წვრილ-ბურუუაზიული დაქსაქსულობა.
ჩვენთვის მეტად ძნელია მისი შენება, როდესაც
მცირე სახსარი გვაქვს, როდესაც ეს სახსარი არ
გვყოფნის. მაგრამ უნდა გვახსოვდე', რომ ეს მშე-
ნებლობა ხანგრძლივი ხასიათისაა, გაყოფილია სა-
ფეხურებად და გაგრძელდება ათეული წლობით.
ჩვენ ეხლავე შეგვიძლია ხელი მივყოთ ამ საქმეს,
გვაქვს შესაძლებლობა მეტი სინათლე მოვთვინოთ
ყოფა-ცხოვრების პროცესთა, თუ ყველა არა, უმნიშ-
ვნელოვანეს. მხარეებს მაინც, რომელთაც ადგილი
აქვთ ჩვენში, და ამით ავამალლოთ რევოლიუციო-
ნური შეგნება, ამ პროცესებზე ხელმძღვანელობის
უნარი.

ეს არის ჩვენი კომუნისტური აზროვნების ამო-
ცანა ყოფა-ცხოვრების სფეროში.

ს ა რ ჩ ე ბ ი :

1. ჩვენ დავუახლოვდით ყოფა-ცხოვრების სა- კითხებს	3
2. რა არის ყოფა-ცხოვრება?	8
3. ოჯახი	10
4. თავისუფალი სიყვარული და კომუნიზმი	14
5. ქორწინების და განქორწინების ახალი კანონი	22
6. დედაკაცის ყოფა-ცხოვრებითი მდგომა- რეობა	36
7. ახალგაზრდობა და ხულიგნობა	41
8. ბრძოლა ახალგაზრდობის სულიერი დაცემის წიანააღმდეგ	48
9. ახალგაზრდობა და „ჭიქა წყლის“ თეორია	65
10. რელიგია, მორალი, კანონი	75
11. ხელოვნება.	78

შეცდომაზე გასვლისა

დაბეჭდილია:

უნდა იყოს:

11 გვ. ზევიდან მე-10 სტრ.
სწორად და არა არა მარ-
თებულად.

22 ზევიდან მე-10 სტრ.:
დაკმაყოფილებულად.

29 ზევ. 15 სტ.: ბოლო

30 ქვეიდან 6—5—6 სტრი-
ქონებს შორის აკლია მთე-
ლი სტრიქონი:

31 ზევიდან 1 სტრ.: გავედევ-
ნე რა ქალთა კაბის კუდის.

41 ზევიდან მე-6 სტრ.:
სული აძლართოს ოჯახური
საქმეებით, თითონ კი თავი-
სუფალი იყოს, იმუშაოს...

43 ზევიდან მე-4 სტრ.:
გადავიგდოთ.

43 ქვეიდან 2 სტ.: ასეთ ჭა-
ბუქთან უჩერხულათაც მი-
მაჩნია.

სწორად და არა მართებულად.

დამაკმაყოფილებლად.

ბოლო.

ასეთი წესი შეუღლებისა,

თუ აედევნე ჭალისა კაბას.

სული ამოართვას ოჯახური
საქმეებით და თვითონ კი თა-
ვისუფალი იყოს. მან უნდა
იმუშაოს.

გადავიგდოთ.

ასეთ ჭაბუქთან უჩერხულიცაა.

დაბეჭილია:

55 წევიდან 2 სტრ.:
მოგვეჩვინა.

60 ზევიდან 16 სტრ.: სევდით
შეპყრობილთ მხარი უნდა
დავუჭიროთ.

66 ზევიდა მე-3 სტრ.:
მეთვალყურეცად ასტურებს

71 ზევიდან მე-5 სტრიქ.:
ბურუუას, ჩვენს მიერ ათვა-
ლისწუნებულ ტიპს, ორნაი-
რი დედაკაცი მიაჩნია!

უნდა იყოს:

მოფვეჩვია.

სევდით შეპყრობილთ უნდა
დავეხმაროთ,

მეთვალყურეც ადასტურებს.

ბურუუას, ჩვენს მ-ერ ათვალის-
წუნებულ ტიპს, ახასიათებს ორ-
ნაირი დამოკიდებულება. ქალი-
საღმი:

ବ୍ୟାଗି ୩୦ ଜନ୍ମ

୧୭

B 93

